ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №58 (1568) სამშაბათი, 17 ივნისი, 1997 წელი

# თემისა და პიროვნების ურთიერთობა ვაჟა-ფშაველას, უკატრავად, ასლან აბაშიძის „შემოქმედებაში"

სსრკ-ს დანგრევის შემდეგ ყოფილი საბჭოეთის მიწაზე აღარ დარჩა დაბა, სოფელი, ქალაქი, რაიონული ცენტრი, სადაც წიგნის ბიბლიოთეკებში წიგნი იკრძალება. ის შავბნელი დრო, როცა აკრძალული ლიტერატურის გრძელი სია არსებობდა, საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა.

ერთადერთი ქალაქი ამ დუნიაზე ბათუმი ყოფილა, სადაც ჯერ კიდევ არსებობს აკრძალული ლიტერატურა. ასაკრძალავი და გასავრცელებელი ლიტერატურა კი იმის მიხედვით დგინდება, რა წერია კონკრეტულ წიგნში კონკრეტულად ასლან აბაშიძის შესახებ.

ამას წინათ პრესამ გვამცნო - აჭარის ბიბლიოთეკებიდან კარგა ხანია „ამოიღეს" პროფესორ მიხეილ მახარაძის წიგნი „სხალთის ზარები", მიზეზი მასში დაბეჭდილი „აჭარის საწინააღმდეგო წერილები" გამხდარა"-ო.

ჩვენს დემოკრატიულ დროში ეს იმდენად დაუჯერებელ ინფორმაციად მივიჩნიეთ, ყურადღება არცკი მივაქციეთ, მაგრამ...

საწყალი მიხეილისთვის მარტო წიგნების ამოღება არ უკმარებიათ. წინ გვიდევს გაზეთი „აჭარა", სადაც დაბეჭდილია ღია წერილი მიხეილ მახარაძისადმი.

მის მშობლიურ სოფელში შეკრებილა 170 კაცი, მათ შორის 12 სიტყვით გამოსულა. როგორც გაზეთი „აჭარა" გვამცნობს, მათი მკვიდრი და ნათესავი, არც მეტი, არც ნაკლები, სოფლიდან მოუკვეთიათ...

წერილი მთავრდება ასეთი მიმართვით:

2



# „ჩვენ არც ერთი არ გვიქნია"

## - აცხადებს უშიშროების სამინისტრო

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და მინისტრის შოთა კვირაიას წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები მიზანმიმართული კომპანიაა სამინისტროს დისკრედიტაციისათვის - ნათქვამია სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ა.წ. 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის სამართალდამცავ ორგანოებში ანტიკონსტიტუციურ ქმედებათა შემსწავლელი დროებითი საგამომძიებო კომისიის სხდომაზე, უშიშროების ყოფილი თანამშრომლების, ელდარ გოგოლაძის, გელა სულაძის, ზვიად მეფარიძის და სხვათა ჩვენებები, რომლებიც შეიცავენ ბრალდებებს უშიშროების სამინისტროს და კონკრეტულად შოთა კვირაიას მიმართ, ამის ნათელი დასტურია.

2

# გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ

# კიბოიანი ახალგაზრდა ჯარში გაიწვიეს და...

3



სტალინის დაკრძალვა. პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) ვიაჩესლავ მოლოტოვი, ნიკოლაი ბულგანინი, ლაზარ კაგანოვიჩი, კლიმენტი ვოროშილოვი, გიორგი მალენკოვი, ჩჟოუ ენლაი, ლავრენტი ბერია, ნიკიტა ხრუშჩოვი.

# უცხოეთის დაზვერვის აგენტი ანუ ვისთვის ძაგება, ვისთვის ქება ლავრენტი ბერიასი

6

# ახალი ჭორი შევარდნაძის გარშემო

კვირიდან რედაქციაში ზარი არ წყდებოდა, მოქალაქეები კითხულობდნენ, მართალია თუ არა, რომ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციას პრეზიდენტმა პრივატიზაცია გაუკეთა და სურს იგი მოსწავლეთა სასახლეს გაუცვალოს. ორშაბათის რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი რამ მიუღებელია მისთვის. მიუხედავად ამ განცხადებისა, დაუჯერებელი მოქალაქეები მაინც აწუხებდნენ რედაქციას და ჩვენ იძულებული გავხდით პრეზიდენტის პრესცენტრისათვის მოგვემართა, სადაც დაგვიდასტურეს პრეზიდენტის ნათქვამი და აღნიშნეს, რომ ეს მორიგი თბილისური ჭორია. ასეა თუ ისე, ქვეყნის პრეზიდენტს მართლაც უნდა ჰქონდეს რეზიდენცია, ასეა ყველა ქვეყანაში მიღებული. ხოლო პრეზიდენტის კრწანისის დღევანდელი ხამყოფელი ნამდვილად არ შეესაბამება ისეთ მაღალ სტანდარტებს, რომელსაც პრეზიდენტის რეზიდენცია უნდა ერქვას. დიახ, ქვეყნის პირველ პირს სჭირდება რეზიდენცია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა პრივატიზებული. ხოლო რეზიდენციის პრივატიზება ჭორია.

**მანანა იაშვილი**

საქართველოს პარლამენტმა როგორც იქნა მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი მესამე მოსმენით, რომელსაც ვალიდოლით ხელში ელოდა რესპუბლიკის ყველა მეწარმე (და არა მხოლოდ მეწარმე).

კოდექსის პუბლიკაციას ელოდება თითქმის მთელი ქვეყანა. „საქართველოს" ხვალინდელ ნომერში იხილეთ ახალი საგადასახადო კოდექსი.

# ვის აგენტობას მაბრალებენ?!

## ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს!

ბატონო შევარდნაძევ!

მოგმართავთ ორი მიზეზის გამო, პირველი: დიაცთან პოლემიკის გამართვა, როგორი ცნობილი პიროვნებაც არ უნდა იყოს იგი, ჩემეულ წესებში არ შედის;

მეორე და უმთავრესი: დარწმუნებული ვარ, ყოველივე თქვენი დაკვეთით განხორციელდა.

სიმართლე უნდა ითქვას, დიდხანს ითმინეთ ჩემი პოლიტიკური გააქტიურება, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო თქვენს სასარგებლოდ მიმართული. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, თუ როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია ჩვენი ურთიერთობის სპეციფიურობიდან გამომდინარე, რამე სიახლეს ველოდი. მოლოდინი გამიცრუვდა, რეაქცია ძერჟინსკიფით ძველია და იაფფასიანი.

ნიშანდობლივია, რომ მიცვალებულთა და ცოცხალთა სულში ჩაფურთხება სწორედ იმას დაავალეთ, ვისი მოწოდებითაც მონათა ბრბომ თქვენი გადანაფურთხი ალოკა. ღმერთმა შეგარგოთ, მაგრამ თუ თქვენ თქვენივე მინისტრი უკვე გაწირეთ, კეთილი ინებეთ და ერთმანეთს შეახოცეთ სისხლიანი ბინძური ხელები, ხოლო როცა ჩემს სახელს ახსენებთ, პირში წყალი გამოივლეთ, იმიტომ, რომ თქვენზე კარგად არავინ უწყის, ვინა ვარ, რომ სუფთა ვარ ჩემი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

იქნებ მომავლისათვის უკეთესი მეთოდი გამოძებნოთ ჩემი „კომპრომეტირებისათვის", თუკი იმ მეთოდის გამოყენებას დააპირებთ, რითაც, ჩემის ღრმა რწმენით, თქვენი ხელისუფლება იმ მინისტრის საშუალებით, ვისთანაც თანამშრომლობას მე მაბრალებენ, გია ჭანტურიას გაუსწორდა, გარწმუნებთ, არ გამოგივათ, რადგანაც ჩემს მხარეზეა ღმერთი და სიმართლე, ხოლო სიკვდილის ხარკი ჩემს ოჯახს დიდი ხანია გადახდილი აქვს თქვენთვის.

**თორნიკე ფიფია**
**საქართველოს პარლამენტის წევრი**

*რედაქტორისაგან: პირადად მე არ მჯერა, რომ ი.სარიშვილი-ჭანტურია პრეზიდენტის დავალებით საუბრობდა თორნიკე ფიფიას წინააღმდეგ. ჩემთვის ცნობილი იყო პრეზიდენტისა და ბატონ თორნიკეს ძმის, ჩემი მეგობრის თემურ ფიფიას თითქმის მამაშვილური დამოკიდებულების შესახებ, რაც ბ-ნ თორნიკე ფიფიას ამ მოკლე განცხადებაშიც იგულისხმება, როდესაც იგი პრეზიდენტთან ურთიერთობის სპეციფიურობაზე საუბრობს.*

# თემისა და პიროვნების ურთიერთობა ვაჟა-ფშაველას, უკაცრავად, ასლან აბაშიძის „შემოქმედებაში"

პირველი გვერდიდან

ბატონო მიხეილ! ბევრი ვიფიქრეთ, მოგვეწერა თუ არა ეს წერილი. ბოლოს შევიკრიბეთ შენი ნათესავები, მეგობრები, მეზობლები და ასე გადავწყვიტეთ. გადავწყვიტეთ, რადგან ყველასა და ყველაფერს გადააჭარბე, მრავალგზის თხოვნის მიუხედავად თავი არ დაანებე შენი კუთხის შეურაცხყოფას. და თუ კვლავ განაგრძობ აჭარის თემაზე გამოგონილ-გამრუდებული ამბების შეთხზვას, პროვოკაციულ გამოხდომებს, პეტრიწის თქმისა არ იყოს, შედეგი მიზეზშია და შენს თავს დააბრალე, სხალთელთაგან თუ მოიკვეთები... და არა მარტო სხალთელთაგან!

შენი ნათესავების, მეზობლებისა და მეგობრების სახელით ხელს ვაწერთ: (სულ 59 ხელწერა). ხელნაწერი თან ერთვის.

ცხადია, მ.მახარაძის ნათესავებს, მეგობრებსა და მეზობლებს, ალალმართალ გლეხკაცებსა და მანდილოსნებს ერთ წვიმიან დილას ერთი აზრით არ გაელვიძებოდათ, მოდით, ერთად შევიკრიბოთ და ჩვენს მიშას აქედან ფეხი ამოვუკვეთოთ „ესთეტიკურად", „მხატვრულ-აზრობრივად", „სტილისტურად" და „პოლიტიკურად" ჩვენთვის მიუღებელი აზრების გამოო.

ამ 1937 წლისეულ აქციას თავისი ხილული და უხილავი ორგანიზატორი ჰყავდა.

ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში მომხდარის შესახებ დაწვრილებით ისაუბრებენ თვით სხალთის მცხოვრებლები, ისინი, ვისი სახელითაც აღნიშნული ღია წერილი გამოქვეყნდა.

**გაზეთ „საქართველოს" რედაქცია**

# შუაზე გადაჭრილი „თერგდალეულები"

*ერთ დროს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული სიძლიერითა და სიმდიდრით ცნობილი, დღეს რა დღეშიც გახლავთ, კარგად მოგეხსენება მკითხველო. საქართველო, როგორც ყასაბი საქონლის ბაზარზე გატანამდე საუკეთესო ნაჭრებს ჩამოაჭრის და თავისიანებისთვის გადაინახავს, ეგრერიგად დაჩეხილი და გაპარტახებული ძევს მსოფლიო რუკაზე და... აფხაზეთი ჩვენია, მაგრამ ჩვენი არ არის, შიდა ქართლში არ ჩაგვესვლება, ჯავახეთში... ჯავახეთში პრობლემები გვაქვს, არხოტში ძნელად თუ კაცი ჭაჭანებს, და ვინ იცის, კიდევ რამდენი პრობლემა არის თუ იქნება. პრობლემა, რომელსაც ჩვენ თვითონ ვუქმნით ჩვენს თავს.*



ალექსანდრე ყაზბეგის (მოჩხუბარიძე) ძეგლი

### რუსული ფულის ქვეყანა

ხევში, ზღვის დონიდან 1800 მეტრის სიმაღლეზე, თუ რაიონის პასპორტს დავუჯერებთ, 6500 მოსახლე ცხოვრობს. რეალურად, ალბათ, 3000 კაცი თუ დაითვლება, და ისიც ზაფხულში. ზამთრის დადგომისთანავე მოსახლეობის თითქმის ნახევარი ორჯონიკიძისკენ, უკაცრავად, ვლადიკავკაზისკენ მიეშურება გამოსაზამთრებლად.

ამ მცირემიწიან რაიონში თავის დროზე პრიორიტეტულ დარგად ცხვრის მოშენება ითვლებოდა. 1988 წლისათვის რაიონი 160000 სულ ცხვარს ითვლიდა. დღეს ეს მაჩვენებელი 22 ათასზეა ჩამოსული. მიზეზი – მატყლის გადამამუშავებელი მრეწველობის გარეშე ცხვარი მომგებიანი ვერ იქნება. ასეთი საწარმო კი რაიონში არ არსებობს. ჰოდა, ყაზბეგლებიც დიდიან-პატარიანად წვრილ ვაჭრობაზე არიან გადასულნი. ღმერთმა დალოცოს ვლადიკავკაზელი მეარყეებიც. მათი ცისტერნების გადატვირთვაზე მუშაობა რომ არა, შიმშილით მოკვდებოდა კაცი. აქ ამ რაიონში, თუკი კომერციულ მაღაზიაში რაიმეს ყიდვას გადაწყვეტ, არ გაგიკვირდეს მკითხველო, როცა კოკა-კოლას ლიტრანახევრიან ბოთლს 15 ათას, 1 ბოთლ ბორჯომს 8 ათას მანეთს დაგიფასებენ. ვლადიკავკაზი 10-ჯერ უფრო ახლო არის, ვიდრე თბილისი და ვაჭრობაც პრიორიტეტულად რუსულ ვალუტაზე მიმდინარეობს.

დანგრეული გზები, უშუშობა, უწყლობა, უსინათლობა, ყველაფერს ხალხი შეეჩვია. შეეჩვია იმას, რომ სახელმწიფოს ისინი არ აინტერესებს. ვლადიკავკაზი-თბილისის ტრასა რომ ჩაიკეტოს, რაიონი, ალბათ, შიმშილით მოკვდება, მათ შემოსავალს ხომ ძირითადად ამ ტრასაზე მოძრავ მგზავრებთან ვაჭრობით შემოსული თანხა შეადგენს. ამიტომაც ჩრდილოეთისკენ მიპყრობილ ყაზბეგელის მზერაში მეტი იმედი გამოკრთის.

### შუაზე გადაჭრილი „თერგდალეულები"

ძნელია კულტურაზე ილაპარაკო, როდესაც ხალხი სულს ღაფავს, როდესაც ხვალინდელ საჭმელზე ფიქრი ღამეებს ათენებინებს ოჯახის პატრონებს, მაგრამ...

1983 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით დარიალის ხეობაში, თამარის ციხის წინ, დღევანდელი საბაჟოსა და ნეიტრალურ ზონას შორის ბეტონის პოსტამენტზე თერგდალეულთა სკულპტურული კომპლექსი დაამონტაჟეს. ავადმოსაგონარ 1992 წელს, რომელიც აქეთ ყველაფერ ცუდთან ერთად ძლიერი ქარებითა და ავდრიანობითაც გამოირჩეოდა, უხარისხოდ ჩასხმულმა ბეტონმა ვერ გაუძლო და ბრინჯაოს კომპოზიცია წაიქცა. კარგა ხანს იწვნენ ვაჟა, ილია, აკაკი, იაკობი და სხვები. ნაღვლიანი თვალებით ზეცას ასცქეროდნენ. გამვლელ-გამომვლელები კი დიდი მონდომებით ცდილობდნენ, საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოდ გადაექციათ ერის სასიქადულო მამულიშვილები. შეძლეს კიდევაც. ბოლოს, როგორც იქნა, მოიცალა რაიონის გამგეობამ ასეთი მცირე მნიშვნელობის მქონე პრობლემის გადასაჭრელად. შეიდკაციანი კომპოზიცია შუაზე გაჭრეს და სახელოსნოს გზას გაუყენეს, სადაც, ალბათ, გაურკვეველ მომავლამდე დაჰყოფენ სახელოვანი,

გაგრძელება მე-3 გვ.

# „ჩვენ არც ერთი არ გვიქნია"

## – აცხადებს უშიშროების სამინისტრო

პირველი გვერდიდან

„პოლიტიკოსი ქალბატონის" – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებები იმის თაობაზე, თითქოსდა უშიშროების მინისტრი იმყოფება მოსკოვში, ამ დღეებში ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი რანგის ოფიცერი ზეგავლენის მოხდენას ცდილობდა პარლამენტარ ელენე თევდორაძეზე, უშიშროების სამინისტროს მუშაკების მიერ დაცხრილულა ზვიად მეფარიძის სახლი მასზე ზემოქმედების მიზნით ცილისწამება და შეურაცხყოფაა უშიშროების სამინისტროსი და პირადად შოთა კვირაიასი, არც ერთი ზემოთ თქმული ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენთვის ცხადია, რომ დღემდე არსებობენ ძალები, რომლებსაც ჩვენში შიდაპოლიტიკური სტაბილიზაცია ხელს არ აძლევთ, ნათქვამია განცხადებაში.

უშიშროების სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისია ობიექტურ დასკვნას გააკეთებს. (ბი-ჯი-აი)

# უნივერსიტეტმა მისაღები კონტინგენტი 10%-ით შეამცირა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შარშანდელთან შედარებით, უფასო სწავლებაზე მისაღები კონტინგენტი 10%-ით შემცირდა. სამაგიეროდ დაემატა ახალი განხრები. ახალ სპეციალობას წარმოადგენს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა, რომელიც არის უფასოც და ფასიანიც. თუმცა არის ისეთი სპეციალობებიც, რომლებიც უფასო განყოფილებაზე არ არის და მხოლოდ ფასიანზეა. ესენია: „ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია", „ქიმიური ექსპერტიზა", „ეკოლოგია და გარემოს კონტროლი" და „სასტუმროებისა და საერთაშორისო ტურიზმის მენეჯმენტი". სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს საღამოს სწავლებაზე მიღება არ იქნება. ფასიან სწავლებაზე აბიტურიენტი მხოლოდ ერთ ტესტირებულ გამოცდას ჩააბარებს სპეციალობაში. (პრემიერი)

## სემინარი თემაზე „მასმედია დემოკრატიულ საზოგადოებაში“

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობას შეუდგა სემინარი თემაზე „მასმედია დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სემინარის ორგანიზატორები არიან საგარეო საქმეთა სამინისტრო და ევროსაბჭო. განიხილება შემდეგი საკითხები: მასმედიის სამართლებრივი სტრუქტურა დემოკრატიულ სახელმწიფოში, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციაში მასმედიის თავისუფლების დაცვა; მაუწყებლობის რეგულირება დემოკრატიულ საზოგადოებაში. პრესის თვითრეგულირება.

სემინარი დღეს დაასრულებს მუშაობას. (იფრინდა)

## იუნესკოს დელეგაცია აფხაზეთიდან დაბრუნდა

საქართველოში ვიზიტად მყოფმა იუნესკოს დელეგაციამ იუნესკოს გენერალური დირექტორის მრჩევლის რაიმონ ლემერისა და იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის ასოცირებულ მრჩევლის ჯოვანი პოკარტის შემადგენლობით 4 დღის განმავლობაში დაათვალიერა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული ძეგლები: ბედია, ილორი, მოქვი, დრანდა, ამბარა, ბესლეთის ხიდი, სიმონ კანანელი, ლიხნი - სასახლე, ლიხნი - ფრესკა, ბზობი, ბიჭვინთა - ტაძარი, ბიჭვინთა - ფრესკა, გაგრა, განთიადი, სოხუმისა და გალის მუზეუმები.

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციის წევრები შეხვდნენ იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის წევრებს. კომისიის გენერალური მდივნის პეტრე მეტრეველის თქმით, დღეს შეჯერდება ქართული მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია და ფოტომასალა ადგილზე დათვალიერების შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან. იუნესკოს ეროვნული კულტურისა და ქართული ეროვნული კომისიის ერთობლივი დასკვნა აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ძეგლების ტექნიკური დახმარებების თაობაზე დაახლოებით ერთ თვეში მომზადდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა კომისიის მუშაობაში საქართველოს წარმომადგენლის მონაწილეობაზე. ამის გამო ქართული მხარე დაზღვეული არ არის იმისაგან, რომ მოხდა ინფორმაციის რეფორმაცია. იუნესკოს კომისიის მუშაობა კვლავაც გაგრძელდება, რომლის დროსაც გამოიკვეთება წინადადებები ძეგლების რესტავრაციისა და კონსერვაციის შესახებ. (იფრინდა)

# შუაზე გადაჭრილი „თერგდალეულები“

მეორე გვერდიდან

დღეს კი „მადლიერი შთამომავლობისაგან“ პატივაყრილი ერის სულიერი მამები. არც ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმია უკეთეს დღეში, რომლის დაბზარული კედლები და დაწეული იატაკები, ალბათ, დიდხანს ველარ გაუძლებენ ჟამთასვლას და ჩინოვნიკთა უგულობას. რაიონის მწირი ბიუჯეტის გადამკიდე, ერთადერთი იმედი, ალბათ, ვინმე ღვთისნიერი აქაური ბიზნესმენის უხვი შემოწირულობისა თუ შეიძლება ჰქონდეს კაცს. გამოჩნდება კი ასეთი?

### სტრატეგიული ქალაქი — ცხინვალი?!

ნუ იფიქრებ მკითხველო, თითქოსდა მანქანიანი კაცისათვის იოლი იყოს იმ ორასიოდე კილომეტრის გამოვლა, რომელიც თბილისს ვლადიკავკაზისგან აშორებს. ზემო ლარსის გამოვლის შემდეგ იწყება ტვკების ქვეყანა, რომელიც თბილისში ჩამოსულ კაცს კოშმარულ სიზმრად და დაცარიელებულ საფულედ მოაგონდება მარტო კობში თქვენი სამსახურისთვის მზად არიან პოლიციის, ეკოლოგიური კონტროლის, საკარანტინო სამსახურის, საბაჟოს და სხვა ნაირნაირი დანიშნულებისა და მადის მქონე პოსტები, რომელთა ცხოვრების მიზნად ჰაერიდან ფულის კეთება გამხდარა ამ ტვკების მომრავლებამ გამოიწვია ცხინვალის, როგორც სატრანზიტო ქალაქის, სტრატეგიული მნიშვნელობის გაზრდა დღეს უკვე ბევრს ურჩევნია თვითმარქვია ოსეთის რესპუბლიკის გავლით იმგზავროს, ვიდრე მშობლიურ მიწაზე ატყავონ ყოველ კილომეტრში.

### ეპილოგის მაგიერ

თავის დროზე, როდესაც ყაზბეგის რაიონი იქმნებოდა, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, მას, მისი მცირემოსახლიანობის გამო (მოგეხსენებათ, რაიონის ჩამოყალიბებისათვის მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა იყო საჭირო), გუდაურის რეგიონი შეუერთეს, რაც იმდროინდელი რესპუბლიკის მთავრობის ჭკვიანურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ვასილ პავლოვიჩის (მჟავანაძე) „მეფობის“ პერიოდში, გრანდიოზული საბჭოთა მშენებლობებით „აღფრთოვანებულმა“ და დროების ფეხდაფეხ სიარულის მოსურნე ხელისუფლებამ ყაზბეგის რაიონში ვეებერთელა ელექტროსადგურის აშენება გადაწყვიტა, რომლის კაშხალის ავსება ნახევარი რაიონის გამოსახლებას გამოიწვევდა (ეს კი ავტომატურად რაიონის გაუქმებას). მაშინ სასიქადულო ქართველმა მამულიშვილმა, დიდმა ნიკო კეცხოველმა (როდესაც ყველა არგუმენტი ამოიწურა) „მეცნიერულად“ დაუსაბუთა მჟავანაძეს კაშხალის მშენებლობისათვის ყაზბეგის რაიონის მიწების უვარგისობა და რაიონი გადარჩა. დღეს კი ეროვნული ხელისუფლების მქონე საქართველო, კავკასიონის ქედს გადაღმა მდებარე თავის ერთადერთ ტერიტორიას გულდამშვიდებული ნებით ელევა, კარგავს. ახლა მოხევის ოცნება, ის, რაც დიდმა ილიამ ლელთ-ღუნიას პირით აუწყა ქვეყანას - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ (?!) საშველი კი ჯერჯერობით არსაიდან ჩანს...

**კობა კიკნაძე**



ანანურის ციხე

## პრეზიდენტი „დანებდა“ ბავშვებს...

„მე მიმაჩნია, რომ დღეს, პრეზიდენტის რეზიდენციის საკითხი მეათეხარისხოვანია. მე საქმიანობის ნორმალური პირობები მაქვს. რაც შეეხება რეზიდენციის ბრწყინვალებას, მოდით, ეს საკითხი მომავალ თაობას დავუტოვოთ გადასაწყვეტად. ბავშვთა სასახლის რეზიდენციად გადაკეთება ეს არა მარტო არადროულად, არამედ უზნეობად მიმაჩნია. ჩვენს ბავშვებს ასეთი კონკურენტი არ უნდა გაუჩნდეს, პირიქით, მათ მორალურად და მატერიალურად უნდა დავეხმაროთ“ - განაცხადა ე. შევარდნაძემ ორშაბათის რადიოინტერვიუში. (იფრინდა)

## ლეკიშვილი მაკონტროლებელთა შემცირებას ითხოვს

ზუგდიდში ყოფნისას, სამეგრელოს რეგიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი კორუფციასა და მაკონტროლებელი სამსახურების საქმიანობას შეეხო და განაცხადა, რომ თურმე ერთ-ერთ ბიზნესმენს ფოთიდან ყაზბეგამდე ხუთი მანქანის გატარება 58 ათასი დოლარი დაუჯდა. ამიტომ სახელმწიფო მინისტრი საჭიროდ მიიჩნევს მაკონტროლებელი ორგანოების მინიმუმამდე დაყვანას. „როდესაც მეწარმე შემმოწმებელი ჩინოვნიკების ხელმოწერაზეა დამოკიდებული, ეს უკვე კორუფციის სათავეა“ - აცხადებს ნიკო ლეკიშვილი. (ეკსპრესი)

პატივცემულო რედაქტორო! ბატონო ნოდარ! დღესდღეობით ცხოვრებისეულ ყველა სფეროში იმდენ უსულგულობას, უპასუხისმგებლობას, უტაქტობას, დაუდევრობას, არაპროფესიონალობას შეხვდება კაცი ყოველდღიურად, რომ არაფერი გაგიკვირდება. მაგრამ თუ ასე გაგვწირავდნენ და სასოწარკვეთილებაში ჩავცვივდებოდით, ნამდვილად ვერ დავიჯერებდი და არც არის დასაჯერებელი, სამწუხაროდ, მწარე სინამდვილე რომ არ იყოს. არაადამიანობაც არის და არაადამიანობაც, მაგრამ...

## მკითხველთა წერილებიდან

# კიბოიანი ახალგაზრდა ჯარში გაიწვიეს და...

–გასული წლის მაისის თვეში, ჩემი ძმისშვილი, ზურაბ გოდერძის ძე ჭყოიძე, რომელიც ობლად მყავს გაზრდილი და ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია, ჩარიცხეს სამხედრო ნაწილში ქუთაისში ხარაგაულის სამხედრო კომისარიატთან არსებულმა სამხედრო საექიმო კომისიამ, ისე, რომ არც გაუსინჯავთ. ასევე მოიქცა რესპუბლიკური სამხედრო გამწვევი კომისიაც. მიუხედავად იმისა, რომ მე მათ განვუცხადე, „წვევამდელი არაა ჯანმრთელი-მეთქი“. ქფოთში ყოფნის დროსაც რამოდენიმეჯერ ჩავაკითხე, ჯარისკაცი არ იყო კარგად. ამის შესახებ მოვახსენე თავდაცვის სამინისტროს დარგობრივ სამმართველოს გენერალ-მაიორს თენგიზ რაზმაძეს. მან მითითებები და დავალებები გაუგზავნა, როგორც ხარაგაულის კომისარს, ასევე ფოთის სამხედრო ნაწილს (მიმართვა №1230. 25/VII-96 წ.) მოთხოვნას ყველამ იგნორირება გაუკეთა.

გასული წლის დეკემბრის პირველ დეკადაში ჯარისკაცი მოკლევადიან (5 დღიან) შვებულებით გამოუშვეს ნაწილიდან სახლში, შექმნა რა მძიმე მდგომარეობა, სახელდობრ, მთელი სხეული გაუსივდა, დაიფოთლა, სასუნთქი გზები გადაეკეტა, დაუძლურდა, სისხლს შარდავდა, ტემპერატურა უმაღლდებოდა.

ასეთი მდგომარეობით, ხელზე გადაწვენილი მივიყვანეთ რესპუბლიკურ ცენტრალურ ჰოსპიტალში, 14 დეკემბერს, შაბათს. რაც იქ ჩვენ მოთავსებაზე დღე დაგვადგა, ამის აღწერა შორს წაგვიყვანს (აქეთ წადით, იქით მიდით, ჩვენი ზონა არ არის და სხვა). მოათავსეს პულმონოლოგიურ განყოფილებაში (განყოფილების გამგე თამაზ თაბაგარი, პალატის ექიმი ლიზი გოდერძიშვილი). გაიარა რა რამოდენიმე კვირამ, ვატყობ, ყურადღებას არ აქცევენ, ხატზე დავიფიცე, რომ ერთი ინექცია არ შეუმხაპუნებიათ, მოწოწებით შევბედე მკურნალებს პასუხისმგებლობის თაობაზე და დიდი რისხვა დამატეხეს თავზე: „შენ ვინა ხარ, ვინ გკითხავს მაგის მკურნალობას, ჯარისკაცი ჩვენია, აქ სამხედრო დისციპლინა და წესებია, შენ კი აქ მეტი არ გნახოთო“ - მოვახსენე ჰოსპიტლის უფროსს, პოლკოვნიკ თენგიზ ქავთარაძეს. „ეგლა მაკლია, ვინმემ აქეთ მიმითითოსო. განკურნებულს წაიყვან ჯარისკაცსაო“. „დაგელოცოთ მარჯვენაც და კაცობაც-მეთქი“. მეც ასე მინდოდა. გადის დღეები, კვირეები, მდგომარეობა არცთუ უკეთესია. რა ვუყო. მოვახსენე რესპუბლიკის პარლამენტის დარგობრივ კომისიას, ბატონებს - რევაზ ადამიას, ჰამლეტ გვენავას. მათ წერილი მიწერეს ბატონ ქავთარაძეს. მანაც არ დააყოვნა. კი ბატონო, „მკურნალობის კურსი (ციკლი) უმთავრდება და ახლა გავწეროთ“. შედეგი მძიმე; საქმეში ჩავრთე გაზეთ „შანსის“-ს კოლექტივი - რაც მათ წარმომადგენელს დღე დაადგა, იხილეთ გაზეთის 28 თებერვლის ნომერი სათაურებით „ჟურნალისტებო, დაყარეთ იარაღი“. „იუპიტერ შენ ბრაზობ“ – ე.ი. სტყუი“.

ამის შემდეგ დავიმსახურეთ უფრო დიდი რისხვა. „ჩვენთან რაღა გინდა, ჯარისკაცი გაწერილია და მკურნალობაც დამთავრებულია, მხოლოდ ნაწილიდან არ მოდიან წასაყვანადო“ - აი პასუხი. ვეუბნები, „ხალხნო, გაწერილი არის თუ არა, ჯარისკაცი ცუდადაა, სიცხეები აქვს. მეორეც, ასეც რომ არ იყოს, სანამ არ გავა ჰოსპიტლიდან, ხომ თქვენ აგებთ პასუხს მაგის თაობაზე-მეთქი, ან თუ გამოიძახეთ ნაწილიდან ვინმე, ჟურნალში რატომ არ დააფიქსირეთ, ვინ მიიღო შეტყობინება-მეთქი“. „ეგ არ არის შენი საქმეო“. თვითონ ჩავედი ქფოთში, წამოვიყვანე წარმომადგენელი და ჰოსპიტლის უფროსის თქმის და დაპირების საწინააღმდეგოდ გაატარეს სიცხიანი და უძლური ჯარისკაცი 93 დღის „მკურნალობის“ შემდეგ. ბავშვიც მიხვდებოდა, რომ ყმაწვილი ცუდად იყო და ასეც მოხდა. რომ იტყვიან, პირდაპირ გზიდან მოგვიწია უკან დაბრუნებამ, ნერვებმა მიმტყუნა და ჰოსპიტლის ნაცვლად ჯარისკაცი მივუყვანე თავდაცვის სამინისტროს სამკურნალო სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკს, ბატონ ანტონ ჭანტურიას, განცხადებით. როგორც თქვენმა ხელქვეითებმა გაუწყეს, ჯარისკაცი თქვენ გეკუთვნით და აგერ თქვენთან იყოს-მეთქი! მან გამოიძახა რამდენიმე ექიმი, სამხედრო მაღალჩინოსნები, გასინჯეს, თუმცა რაღა გასინჯვა უნდოდა, ბიჭი ფეხზე ვერ იდგა და მისი მითითებით ისევ იმ ჰოსპიტალში, ისევ იმ ხალხში დააწვინეს. ეს გახლდათ 28 მარტი, პარასკევი. ატრიალეს ავადმყოფი ისევ იმ პიროვნებებმა და... ყველა ადამიანის გულის მქონეთათვის სამწუხარო ამბავი, ვერაგი დაავადება და...

ფაცი-ფუცით გადაულოცეს ონკოლოგიის ცენტრს 14 აპრილს, ორშაბათს. ამის თაობაზე იცის ყველამ, მოვახსენე პარლამენტს, უკვე მწყობრიდან გამოსულმა.

ძვირფასო რედაქცია, არავითარი იმედი, არავითარი ხსნის გზა. რა დაერქმევა ყოველივე ამას? ამაზე ზუსტ და ამომწურავ პასუხს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორი გაგვცემს. მაგრამ მანამდე ჩვენ როგორ შევაფასოთ მათი ქმედება? 1) როგორც გაიძახიან, ავადმყოფობა არ შეიძლება მოკლე დროში გამოიკვეთოს. თუ ეს ასეა, მაშინ იმ ტოტს ჭრიან, რომელზედაც სხედან, და რატომ? ან რას აკეთებდა ხარაგაულის ან რესპუბლიკის გამწვევი კომისიის შემადგენლობა. ან რას აკეთებდნენ თვითონ ჰოსპიტალში, სადაც ჯარისკაცი 93 დღე იწვა? რომ დროულად გაერკვიათ და დაეკონკრეტებინათ ავადმყოფობის ხარისხი და სიმძიმე, ხომ ადრე მივხედავდით? და შეიძლებოდა სხვანაირად წარმართულიყო ჩვენი საქმე. მათ ეს არ გააკეთეს. ისინი უსულგულოები არიან. როგორც ჩანს, მათ და ბევრს კიდევ ჩირად ულირს ჯარისკაცის სიცოცხლე. ეს რომ ასეა, ყველა მხრიდან ჩანს. მე ამის თაობაზე განვუცხადე საქართველოს პარლამენტს. ჯერჯერობით მათ ვერ მიპასუხეს. მათგან რომლის შვილია სამხედროში, თუნდაც ჯანმრთელი, არა ისეთი, როგორიც ჩემი გაუშვეს. მათ ისიც ავუხსენი, რომ თუ არ გამარკვევენ, რაშია საქმე, მაშინ ამ შემთხვევას მოვფენ მთელს საერთაშორისო სათანადო უწყებებს და ჩემს თავსაც გამოვუტან არაკანონიერ განაჩენს.

**გივი ჭყოიძე**

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

*რედაქციისაგან: არ შეიძლება არ აღშფოთდეს ბ-ნი გჭყოიძის ქვემოთ დაბეჭდილი წერილის წამკითხავი. უფრო მეტიც, ძნელია დაიჯერო, რომ ყველაფერი ეს აქ, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მიერ ესოდენ არაერთგზის ნაქებ არმიაში ხდება.*

*ჯერ ავადმყოფი რამ წაგაყვანინათ ჯარში და მერე ასე უგულოდ როგორ გასწირეთ ახალგაზრდა კაცი?*

*ამ ბიუროკრატებთან ბრძოლის ერთადერთი გზა ისღა რჩება, პრესამ ამხილოს ყველა ბობოლა, ვინც საქართველოს ჯარში გაგზავნის ნაცვლად ავადმყოფობის ცნობებს უკეთებს შვილებს. ავადმყოფი, კიბოიანი ბავშვი კი შეიწირეს.*

*მოგვწერეთ, დავბეჭდავთ ასეთი ხალხის გვარებს, ვინძლო ამით მაინც გამოვალებინოთ ყურიდან ბამბა ჩვენს კომისარიატებს...*

## ჩეჩნეთი მისთვის რუსეთია

„რუსეთ–საქართველოს საზღვრის ჩეჩნურ მონაკვეთს ადრე თუ გვიან რუსი მესაზღვრეები გააკონტროლებენ“ – განაცხადა რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა ანდრეი ნიკოლაევმა. მისი თქმით, ამჟამად საზღვრის ამ მონაკვეთს (რომელიც 81 კილომეტრია) რუსეთის მხარის თანხმობით მხოლოდ ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებენ. ნიკოლაევის აზრით, ეს საკითხი რუსეთ–ჩეჩნეთის მოლაპარაკებებზე უნდა განიხილონ. მან კატეგორიულად უარყო ჩეჩნეთის მხარისათვის ჩეჩნეთ–საქართველოს საზღვრის გაკონტროლების უფლების მინიჭება. „ჩეჩნეთი ჩვენთვის რუსეთია და საზღვრის კონტროლს მხოლოდ რუსეთის ფედერალური სტრუქტურები უნდა ახორციელებდნენ“ – აღნიშნა ნიკოლაევმა (მექსპრესი)

## რუსეთის ფედერაციამ საკითხის დაჩქარება მოსთხოვა

აფხაზური რადიოს ცნობით, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო გადაწყვეტილება ე.წ. რუსეთ–აფხაზეთის საზღვარზე ბლოკადის მოხსნის შესახებ და მიმართა რუსეთის ხელისუფლებას დააჩქაროს ამ საკითხის გადაწყვეტა. (მექსპრესი)

## თელავსა და ნაზრანს შორის ავიარეისი აღსდგება

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით უახლოეს მომავალში თელავსა და ინგუშეთის დედაქალაქ ნაზრანს შორის ავიამარშრუტი აღსდგება. რეისებს შეასრულებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის კუთვნილი იაკ–40. ეს ავიამარშრუტი ჩეჩნეთ–რუსეთის ომის გამო დროებით იყო შეჩერებული. (მექსპრესი)

## აფხაზები ისტორიულ ძეგლებსაც გვეცილებიან

საქართველოს ისტორიული ძეგლების შესწავლის მიზნით იუნესკოს დელეგაცია აფხაზეთს ეწვია. აფხაზური რადიო ამის შესახებ იტყობინება, რომ თურმე დელეგაციის წევრების მიზანი არა საქართველოს, არამედ ე.წ. აფხაზური ძეგლების შესწავლაა (მექსპრესი)

# ედუარდ შევარდნაძე:
# თუ არ შესრულდა მოსკოვის მარტის სამიტის გადაწყვეტილებები, სამშვიდობო ძალების ადგილს დაიკავებენ არა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ფორმირებები, არამედ სულ სხვა ძალები

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში „დოიჩე ბანკის“ ინიციატივაზე – საქართველოს ბანკებისათვის საკრედიტო ხაზების გახსნის შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი სამაგალითო იქნება სხვა უცხოური ბანკებისათვის და გაზრდის ნდობას საქართველოს საბანკო სისტემისადმი. გასული კვირის მოვლენებიდან პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თურქეთის ეკონომიკის სახელმწიფო მინისტრის აიფერ ილმაზის ხელმძღვანელობით საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაციის ვიზიტს საქართველოში. ვიზიტის მსვლელობისას კიდევ ერთხელ განისაზღვრა ნავთობისა და გაზის ტრანზიტისა და სატრანსპორტო გადაზიდვების სფეროში ეკონომიკური თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებები. სხვა საკითხებთან ერთად მდინარე ჭოროხის პრობლემაც განიხილეს, რომელზეც თურქეთს როგი ჰესების აშენება აქვს დაგეგმილი. პრეზიდენტის თქმით, ეს სამუშაოები ბათუმისა და ქობულეთის სანაპირო ზოლს დიდად დააზიანებს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ერთი წელი გავიდა პურზე ფასების ლიბერალიზაციის დაწყებიდან და მისი თქმით, ამ პროცესმა წარმატებით ჩაიარა.

აფხაზეთის თემაზე საუბრისას ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების პროცესი მოსკოვში მკვდარი წერტილიდან დაიძრა. მასში ჩაერთვნენ ბორის ელცინი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, ხოლო ვლადისლავ არძინბას პოზიციაში კომპრომისების მოძებნის სურვილი შეინიშნება. შევარდნაძის თქმით, თუ არ შესრულდება მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილებები, სამშვიდობო ძალების ადგილს დაიკავებენ არა კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის ფორმირებები, არამედ სულ სხვა ძალები. (ბი ჯი აი)

● დღიურები

## რევაზ მიშველაძე

# ხუთი მრისხანე წელი

### ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე

**26/I — 30/I,93 წ.**

ირაკლი წერეთლის და ნოდარ ნათაძის თაოსნობით 26 პარტია შეიკრიბა და დაადგინეს: 1. საქართველომ, როგორც ოკუპირებულმა ქვეყანამ, ხელი არ მოაწეროს არავითარ ხელშეკრულებას რუსეთთან, სანამ რუსის ჯარი არ გავა საქართველოდან. 2. უნდობლობა გამოუცხადოს შევარდნაძის აშკარად პრორუსულ პოლიტიკას.

გაზეთები ლამის ერთხმად აკრიტიკებენ შევარდნაძეს.

გაზეთ „მიმომხილველში“ რამიშვილი მისეულ პორტრეტს ხატავს შევარდნაძისას.

უნივერსიტეტში შემოიარა მურმან ლებანიძემ (ნათესავზე მთხოვა: აფხაზეთში იბრძვის და მიშუამდგომლე–მოსამზადებლიდან არ გამირიცხონო), დავჯექით ჩემს კაბინეტში და ორ საათზე მეტ ხანს ვისაუბრეთ საქართველოს უბედურ ბედზე.

წელიწადია, ლექსი არ დამიწერიაო. ძალიან გულგატეხილი ვარო, ვისზე–მეთქი, ჩემს ხალხზეო...

გულგატეხილი შეიძლება იყო ზვიადზე, შევარდნაძეზე, პარლამენტზე, მაგრამ ქართველ ხალხზე გული არ გაგიტყდეს, ჩვენ ბრწყინვალე ერი ვართ–მეთქი. როგორ შეიძლება პოეტს თავისი ერის იმედი არ ჰქონდეს–მეთქი.

შევარდნაძეზე ჩამოვარდა სიტყვა. მე მგონია, მოეტყუებდით, ედუარდი რუსის დავალებითაა ჩამოსული და ჩვენს თავისუფლებას დაღუპავს–მეთქი.

რა ვიცი, არა მგონიაო, ედუარდი ამას არ იზამს, თავის სახელს საწყევრად არ დაუგდებს შთამომავლობასო. მე მისი მჯერა და მხარს ვუჭერო.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ ნოველები გამოვაქვეყნე აფხაზეთის ომზე.

**31/I — 21/II,93 წ.**

8 თებერვლის „თბილისში“ გამოვაქვეყნე წერილი: „ვაი, რა მწარედ ვტყუვდებით!“ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

პირდაპირ ვთქვი: რა უბედურებაც გვჭირს, რუსეთისგან გვჭირს და ჩვენს დამპყრობელთან სამეგობრო ხელშეკრულება არ უნდა დავდოთ, მითუმეტეს, კაბალურ საწყისებზე–მეთქი.

დავიწუნე ხელშეკრულების პროექტის ზოგი მუხლი.

არაა კარგად ჩვენი საქმე. ვიცეპრემიერი შახრაი ჩამოვიდა თბილისში. დაკეტილი კარის მიღმა ორი საათი ესაუბრა შევარდნაძეს.

სოხუმს ისევ ბომბავენ.

რუსმა ჯარი არ გაიყვანა აფხაზეთიდან დაპირების მიუხედავად.

19 თებერვლის „ლიტგაზეთში“ ჩემს ნოველას „ვერ მოვისვენებ“ თბილად გამოეხმაურა გიორგი ალავერდაშვილი.

21 თებერვალს ჩატარდა ეროვნული სათათბიროს II საგანგებო კონფერენცია. არცერთი მწერალი არ ესწრებოდა ჩემს გარდა.

ირაკლი წერეთელმა კარგი მოხსენება გააკეთა.

გამოვიდნენ მ.ქურდიანი, რუსლან ღონღაძე, გურამ გოგბარიძე, თემურ ჟორჟოლიანი, ვაჟა ადამია, გია ხოშტარია, ნოდარ ნათაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, აკაკი ასათიანი.

წყნარად, მშვიდად, მოწოდებების, ექსცესების გარეშე საუბრობდნენ.

ყველაზე კარგი ის იყო, რომ ერთმანეთის გვერდით ვიჯექით „ზვიადისტები“ და „არაზვიადისტები“. ეს უკვე კარგი ნიშანია.

ვიღაც პროვოკატორმა დარბაზში ხელყუმბარა ააფეთქა.

ვიცოდი, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. შინაგანად მზად ვიყავი. „არ შეგეშინდეთ, კარებს ნუ მიაწყდებით, ერთმანეთს არ გადაუაროთ–მეთქი!“ – ვიღრიალე.

ყველანი შედგნენ. ზოგი დარბაზში შემობრუნდა.

კონფერენცია გაგრძელდა.

**22/II — 8/III**

კონფერენციის მეორე დღეს „თბილისში“ გამოვაქვეყნე ინტერვიუ: „ერთმანეთისკენ მორცხვად გავაპარეთ თვალი“. ვწერდი: ზოგმა ინტელიგენტმა თავი შეირცხვინა; ამ კონფერენციის ინიციატორები ლამის მტრებად გამოაცხადა–მეთქი. ხელისუფლებაც ძალიან შეშინდა, დაიწყეს შემოქმედებითი ინტელიგენციის დაბარება და ხვეწნა – „გვიშველეთ“–მეთქი, მზე ჩრდილოეთიდან არასოდეს ამოვა–მეთქი. როგორც ჩანს, ეწყინა ხელისუფლებას, რადგანაც მწერალთა კავშირის ერთმა ხელმძღვანელმა შეშფოთებით მითხრა: „რას ჩააცივდი ხელისუფლებას. შევარდნაძემ კი არ დაგვიბარა, ჩვენ თვითონ მივედითო“.

„უვაჟკაცო კაცია–მეთქი ამის მთქმელი, ვერ ვიტყვი, მაგრამ, ვტყობა, დაავალეს, ეს სიტყვები მოწმეთა თანდასწრებით ეთქვა ჩემთვის.

გაზეთ „ხმა ერისას“ მარტის ნომერში სხვა ინტერვიუ მაქვს. იქაც ვთქვი ჩემი სათქმელი: „დაგომისი“ და „3 სექტემბერი“ ჩვენი დიპლომატიის მარცხი იყო–მეთქი.

5 მარტს უნივერსიტეტში გავმართეთ საიუბილეო (75) ლიტერატურული საღამო.

როინ მეტრეველმა ქართული მწერლობის ფასი კარგად იცის. ჭეშმარიტად ეროვნული პიროვნებაა. ცოტა ენერგია როდი დახარჯა, რომ საღამო ღირსეულად ჩატარებულიყო.

მოვიწვიეთ თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მწერალი – ანა კალანდაძე, გურამი, შოთა, გრ.აბაშიძე, მორისი, ფანჯიკიძე, რ.ჭეიშვილი... მოკლედ, უმრწეს ქართველ მწერლებამდე.

დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. როინმა საღამოს თამადობა მე დამავალა.

ეს მეორე ღონისძიება იყო როინის და ჩემს მიერ ჩაფიქრებული საქართველოს გასაერთიანებლად, ეროვნული ბზარის ამოსავსებად.

7 მარტს საღამო ტელევიზიამ მთლიანად გადასცა.

**8/III — 21/III,93 წ.**

16,17 მარტს რუსეთმა სასტიკად შემოუტია სოხუმს.

რუსის თვითმფრინავებმა ჯერ დაბომბეს, მერე საარტილერიო ცეცხლით ჰყვავევს საქართველოს ეს ულამაზესი ქალაქი.

ორი ღამე ცეცხლი წვიმდა სოხუმის ცაზე.

შევარდნაძე სოხუმში ჩაფრინდა.

როგორც იქნა, დარწმუნდა, რუსი გვებრძვისო და მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა რუსული აგრესიის შესახებ.

სამასამდე ქართველი დაიღუპა. მათ შორის ჩემი ბიძაშვილის შვილი – ლევან თოდუა.

დაზაფრული დავდივარ.

ამ დილით (19–ში) რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გამოაცხადა (გრაჩოვი): ქართველებს ჩვენ არ ვებრძვით, თვითონ ბომბავენ სოხუმს და ჩვენ გვაბრალებენო.

შეიძლება, წარმოიდგინო უფრო დიდი სიგიჟე?

რუსის გონების სიმწირეს, მართლაც, რომ საზღვარი არა აქვს

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48–57.

## [illegible]

## მართვის მოწმობის გამოცვლა 18.85 ლარი ღირს

დღეისათვის გაცემულია 1975 ავტომანქანის მართვის მოწმობა – განაცხადა თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსმა დავით წოწკოლაურმა.

ახალი მართვის მოწმობის გაცემა ივნისიდან დაიწყო და იგი ოფიციალურად 18,85 ლარი ჯდება. წოწკოლაურის ინფორმაციით, დღეში დაახლოებით 100 მართვის მოწმობა იცვლება. (პრემიერი)

## ლტოლვილებს 20 პროცენტით გაუზრდიან დახმარებას

1 ივლისიდან ლტოლვილებისათვის დახმარების 20%–ით გაზრდაა დაგეგმილი. ეს საკითხი განიხილებოდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ვალერი ვაშაკიძისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელთა შეხვედრაზე. ისაუბრეს საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის მუშაობაზე. ვალერი ვაშაკიძის თქმით, ცალკეულ შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, ამ სფეროში არ არსებობს კორუფცია. (ბი ჯი აი)

## ქუთაისელი პოლიციელები მოითხოვენ ხელფასის დავალიანების დაფარვას

გუშინ ქუთაისის მერიის წინ პოლიციელთა არაორგანიზებული ჯგუფი შეიკრიბა. აქციის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მუნიციპალური პოლიციის მნიშვნელოვან ნაწილს ექვსი თვეა არ მიუღია ხელფასი.

იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის პოლკოვნიკ რუბენ ასანიძის თქმით ქალაქის ბიუჯეტიდან პოლიციისათვის უნდა გამოყოფილიყო 165 ათასი ლარი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის რეგიონში თემურ შაშიაშვილმა განაცხადა, რომ აუცილებელია პოლიციის რიგების შემცირება და გადახალისება (მექსპრესი)

## აბა რა ეგონათ

### ოზურგეთში დაწვეს იეღოველების ლიტერატურა

15 ივნისს ქ. ოზურგეთში მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა რელიგიური მოძრაობა იეღოველების ლიტერატურული ქმნილებების ავტოდაფე მოაწყო. შემოქმედის ეპარქიაში ამ ფაქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას არ ფლობენ. როგორც ეპარქიის წარმომადგენელმა „მოამბე–ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, იეღოველთა პრობლემა არა ასეთ პრიმიტიულ, არამედ სერიოზულ სახელმწიფოებრივ მიდგომას მოითხოვს.

## ხალხს მოსწყინდა უფულოდ შრომა

ოზურგეთის რაიონის სოფ. მელექედურის მცხოვრებთა უმრავლესობა უარს აცხადებს ჩაის ნედლეულის დამზადებაზე. როგორც გაფიცულმა მეჩაიეებმა დღეს რაიონის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს განაცხადეს, ამგვარი ქმედების მიზეზი კუთვნილი თანხის აუნაზღაურებლობაა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მელექედურის ჩაის ფაბრიკა ერთ თვეში დავალიანების 50%–ს დაფარავს, მანამდე კი მეჩაიეები ნედლეულს მეზობელ ჩაის ფაბრიკებს ჩააბარებენ (მექსპრესი)

# „ჩემი მხრიდან ე.შევარდნაძის პოლიტიკის შეფასება, როგორც მოღალატურის, საფუძვლიანია“

განაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თავ-რემ ნ.ნათაძემ. როგორც მან აღნიშნა, მიმდინარეობს მუშაობა, რათა საქართველომ დაკარგოს შიდა ქართლი.

ნ.ნათაძემ უკმაყოფილება გამოთქვა 27 მაისს პარლამენტის წინაშე პრეზიდენტის გამოსვლის გამო, სადაც ე.შევარდნაძემ განაცხადა, რომ გამსახურდიას მმართველობა პასუხისმგებელია შიდა ქართლში მომხდართან დაკავშირებით. მისი თქმით, ე.შევარდნაძე უმალავს საზოგადოებას, რომ ყველაზე მძიმე შეიარაღებული აქციები ოსური მხარის მიმართ, შევარდნაძის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში იყო, გამსახურდიას დროს კი არცერთი საარტილერიო გასროლა ცხინვალის მიმართულებით არ მომხდარა. ნ.ნათაძის თქმით, შევარდნაძის ეს განცხადება ცილისწამებაა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მიმართ. მისივე თქმით, პრეზიდენტის იმავე სიტყვაში ჩიბიროვი და სხვა სეპარატისტი თვითმარქვია ლიდერები მოხსენიებულნი არიან, როგორც „ხელმძღვანელები“, რაც იმის დასტურია, რომ ე.შევარდნაძე ხელს უწყობს უკანონო და საქართველოს მთლიანობის ინტერესებთან შეუთავსებელი ტერიტორიული პოლიტიკური ერთეულის შექმნას. „არავითარი პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომია იქ არ უნდა არსებობდეს“ – განაცხადა ნ.ნათაძემ.

სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭოს თავ-რის გ.გელაძის განცხადებით, ცხინვალის რეგიონში გრძელდება კონფლიქტში მონაწილე ქართველთა დევნა და წამება, მაშინ, როცა ოსები ფაქტიურად ამნისტირებულნი არიან ოსების მხრივაც, რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ მხრივაც და შევარდნაძის რეჟიმის მხრივაც. რეგიონში დარჩენილი ქართველობა ეკონომიურ სიდუხჭირეს განიცდის. მისი თქმით, ე.შევარდნაძის მიდგომა შიდა ქართლის პრობლემისადმი ქართველთა საწინააღმდეგო და ოს-რუს ეთნოდივერსანტთა წინაშე კაპიტულანტურია. გ.გელაძე თვლის, რომ ე.შევარდნაძე ეფერება ოსებს, მათ სწირავს ქართველებს. მიუხედავად ამისა, ოსები მაინც ეწინააღმდეგებიან შევარდნაძეს.

გთავაზობთ გ.გელაძის და ნ. ნათაძის მიერ მოწოდებულ, არსებული ხელისუფლების სამაჩაბლოსადმი დამოკიდებულების ამსახველ ორ რადიკალურად ოპოზიციური შინაარსის დოკუმენტს.

## რა მოვინანიოთ?

ჩრდილო ქართლში ოსთა ამჟამინდელი აჯანყება თავიდანვე გამიზნული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რაც ოსთაგან ჩრდილო საქართველოს ტერიტორიის მიტაცების ისტორიულ სწრაფვაზეა დამყარებული და რუსეთისაგან პროვოცირებული. ამაში სტალინ-ორჯონიკიძე-მახარაძის შთამომავალ რენეგატთა როლი მნიშვნელოვანია.

ქართულ-ოსური ურთიერთობის ტენდენციურად ანტიქართულ წარმოჩენაში იაქტიურეს გია ჟანტურიამ, ირინე სარიშვილმა, ლანა ღოღობერიძემ, გოგი ხაინდრავამ, მამუკა არეშიძემ, ნანა ჯაფარიძემ, კლიმიაშვილმა, ჯანსულ ჩარკვიანმა, რაზმაძემ, გოგოლაშვილმა, ირაკლი მენაღარიშვილმა, ირაკლი მაჭავარიანმა, სანდრო კავსაძემ და სხვებმა. მათ ძალ-ღონე არ დაიშურეს ქართველების წინაშე ოსების დანაშაულებათა მიჩქმალვასა და აგრესიულად განწყობილი ოსების წინააღმდეგ ექსცესების განზოგადებულად ოსთა გენოციდად მონათვლაში.

სოფისტური აზროვნების ცრუ დემოკრატებად დაგეშილთა და აშკარა დეზინფორმატორთა ვაკხანალიას წარმართავს ედ.შევარდნაძე. სკკპ პოლიტბიუროს შემადგენლობაში ყოფნისას ოს-ქართველთა დაპირისპირების ირგვლივ მრავლისმეტყველი დუმილით მხარს უჭერდა ოსთა ამბოხს, ხოლო კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად საქართველოში ჩამოსვლისთანავე პოლიტიკურ ავაზაკს, ოსთა თვითმარქვია ლიდერს ტორეზ ყულუმბეგოვს მისი აღმატებულებით მიმართა და სოფელ ძართან ავტობუსის დაცხრილვასთან დაკავშირებით ნაჩქარევად, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, ქართველებს დასდო ამაში ბრალი, რაც ყოვლად არალეგიტიმურმა „სახ.საბჭომაც“ გაიმეორა.

შიდა ქართლის პრობლემისადმი შევარდნაძის შემდეგდროინდელი მიდგომა უკვე აშკარად ქართველთა საწინააღმდეგო და ოს-რუს ეთნოდივერსანტთა წინაშე კაპიტულანტურია.

საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისთანავე ოსებთან კონფლიქტი უაღრესად გამწვავდა. ცხინვალს პროვოკაციულად დაუშინეს ზარბაზნებით უმიზნო ჭურვები („ბოლვანკები“). ლეგიტიმური ხელისუფლების დროს არცერთი საჭურვო გასროლა არ მომხდარა. ხოლო, როცა ადგილობრივი მამაცი ქართველების თავგანწირული ბრძოლის შედეგად ახლოს იყო რეგიონში სამართლიანი მშვიდობის დამყარება, შევარდნაძემ დაგომისში 1992 წლის 24 ივნისს შესთხოვა ელცინს სამხედრო დახმარება სამკვიდრო მიწა-წყლისათვის მებრძოლი ქართველების წინააღმდეგ, რაც დაკმაყოფილდა კიდეც და დიდი ხნით გადაიდო ჩრდილო ქართლში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა. შევარდნაძის ამჟამინდელი სწრაფვაა ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიური ფაქტორებისა და საერთაშორისოდ მიღებული სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფით იურიდიულად „გაუფორმდეს“ მის მიერ კურთხეულ პრეზიდენტ ლუდვიგ ჩიბიროვს ოსთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შიდა ქართლში, რითაც ბოლშევიკური ძალადობის რეანიმაციას ცდილობს. მსოფლიოში კომუნიზმის, ფაშიზმის, ძალადობის აღმოსაფხვრელად ბრძოლაა გაჩაღებული, შევარდნაძე და ეუთო საწინააღმდეგოს სჩადიან.

აღნიშნული ქმედება მეტად საშიშ პრეცენდენტს უქმნის მსოფლიოს: ტერიტორიულ ერთეულებს მოითხოვენ ალჟირელები საფრანგეთში, თურქები გერმანიაში, გერმანელები რუსეთში, ჩინელები, აფრიკელები აშშ-ში და ასე შემდეგ. არავინ დაუშლის თვითმარქვია „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებს აჩაბეთის თუ კეხვის გაერთიანებული რესპუბლიკის მოთხოვნას?

საგანგაშოა, რომ ეუთო და შევარდნაძე უკან არ იხევენ, რითაც შიდა ქართლში ოსთა ტერიტორიული წარმონაქმნის შესაძლებლობის „დასასაბუთებლად“ სულ უფრო ეფლობიან წინასწარ დაგეგმილი დეზინფორმაციის ჭაობში. შევარდნაძე თავს არიდებს ფაქტებზე დამყარებულ არგუმენტაციას და ქართველებს პათეტიკური დეკლარირებით მოუწოდებს მოინანიონ ოსების წინაშე. შიდა ქართლელები საგონებელში არიან, რაკი არ იციან რა შესცოდეს.

რა მოვინანიოთ? ის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ საქართველო რუსეთისაგან ანექსირებულად ჩათვალა და ბათილად გამოაცხადა საქართველოს სსრ ყველა კანონი და დადგენილება, მათ შორის ჩრდილო ქართლში ბარბაროსული ძალადობით შექმნილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“?

ან ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭოს იურიდიულად სრულქმნილი კანონი გამოსცა ამ კომუნისტური სუროგატის გასაუქმებლად? იქნებ გაჩუმებულიყო და დე-იურედ დათანხმებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ოსური სახელმწიფოს არსებობას?

მოვინანიოთ, რატომ ამოიღეს ხმა შიდა ქართლელებმა ოსთა ეთნოკრატიისაგან გასანთავისუფლებლად?

მოვინანიოთ, ქალაქ ცხინვალში ოსების მიერ ქუჩებში ხოცვა-ჟლეტის გამო იქ მილიციის კონტიგენტი რომ შევიდა წესრიგის აღსადგენად? (განსხვავებით იმისა, აფხაზეთში ტანკები რომ შეაგრიალეს ქართველების საწინააღმდეგოდ).

მოვინანიოთ ე.წ. „ოლქის“ გარეთ მცხოვრები ოსების მიერ თავიანთ ბოევიკებისადმი ფულის შეგროვებისა და ცოცხალი ძალის მიწოდების საპასუხოდ რამდენიმე სოფელში სხვა მოქალაქეთა შორის თითო-ოროლა ოსი მობინადრის გაძარცვა მხედრიონის მიერ, შევარდნაძის დასაყრდენი ძალა რომ იყო?

რა მოვინანიოთ? კრემლის დასმული ოსური ჯანყის თავი ტორეზ ყულუმბეგოვი და მისი დამქაში დაპატიმრებულნი რომ იყვნენ და სამართლდებოდნენ ჭეშმარიტი სასამართლო წესით ჩვენებათა გამოსაძალავად, წამებისა და ძალდატანების გარეშე?

მოვინანიოთ, ცხინვალიდან და ყორნისის რაიონის სოფლებიდან გამოდევნილი მოსახლეობა შინ უსაფრთხო დაბრუნებას რომ ითხოვს?

ან ის, რომ ხმამაღლა ვაცხადებთ: შიდა ქართლში ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნაზე დაყაბულება საქართველოს 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის სრულ დაშლას მოასწავებს? მოვინანიოთ, ვლადიკავკაზში მცხოვრები მცირე ქართული სათვისტომო ერთ დროს ალაგირის სათვისტომოსავით რომ არ ამოჟლიტეს? ოსეთში მყოფი ქართველები ხომ მძევლებად ჰყავთ სამაჩაბლოელი ქართული სოფლების მსგავსად. ისე ვინ დაითვალა, რამდენი ქართველი გადმოსახლდა ვლადიკავკაზიდან. სხვათა შორის, 17 წლის გოგონა (მშობლებითურთ) სწორედ ვლადიკავკაზში დააკავეს და ცხინვალში ჩაიყვანეს, სადაც თვენახევრიანი გაუგონარი ძალადობით სიცოცხლეს გამოასალმეს.

კიდევ რა მოვინანიოთ? ალბათ, ის, რომ ქართველს ქართველობა სურს? შთამომავლობის გასაგრძელებლად იბრძვის!?

ახლა ვიკითხოთ, ვინ მოინანიოს ის, რომ ისტორიაში გაუგონარი თავხედობით და სისასტიკით შექმნილ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ ძალით შეიყვანეს 270-მდე ქართული სოფელი?

ვინ მოინანიოს ის, რომ ცხინვალიდან და ყორნისის რაიონის სოფლებიდან გამოდევნილია ქართველობა, ებრაელობა, სომხებისა და რუსების დიდი ნაწილი გადამწვარი, დანგრეული და დარბეულ-გაძარცულია მათი სახლ-კარი?

ვინ მოინანიოს, რომ როცა ამჟამინდელი კონფლიქტის მონაწილე ოსები ფაქტიურად სრულად ამნისტირებულ არიან ოსების მხრივაც, რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ მხრივაც და შევარდნაძის რეჟიმის მხრივაც, ქართველებს კი სასტიკად სდევნიან ოსებიც, რუსი „მშვიდობის მაძიებლებიც“ და შევარდნაძის რეჟიმიც?

ვინ მოინანიოს, რომ ქართველი გამოდევნილები პირწმინდად განადგურების პირას არიან უშუალო ამოხოცვით გზითაც კი (სასტუმროებში დივერსიული აქტები).

ვინ მოინანიოს, შიდა ქართლის მიწაზე მკვიდრი მოსახლეობა რომ გადაშენების გზაზეა?

ვინ მოინანიოს საქართველოს ტერიტორიის დაქუცმაცების გზით რომ სრულდება ქართველთმოძულე ფორმულა „საქართველო უქართველებოდ“?

ვინ მოინანიოს, როგორი ვანდალიზმით დახოცეს ოსებმა და რუსებმა მშვიდობიანი ქართველები, განსაკუთრებით რეგიონში „სამშვიდობო ძალების“ ჩაყენების შემდეგ.

ვინ მოინანიოს, რომ ცხინვალში ქართული მოსახლეობა ეროვნულ უმცირესობად იქცა, ახლა კი იქ ეთნიკური წმენდის შედეგად თითქმის აღარ არის?

ვინ მოინანიოს, რომ ჩრდილო ქართლში გავრცელებული მხოლოდ ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს ითვისებენ?

და ბოლოს, ვინ მოინანიოს ცილისწამება, თითქოს ქართველებს ოსების გაყრა სდომებოდეთ? წაიკითხეთ საქართველოს რესპკანონიერი ხელისუფლების დოკუმენტები.

საქართველოში კომპაქტურად დასახლებულ ოსებთან მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მათ არ წააქეზებენ საქართველოს ტერიტორიის მიმართ პრეტენზიებში. სწორედ ამ წამქეზებლებმა უნდა მოინანიონ თავიანთი ისტორიული დანაშაული ქართველებისა და ოსების წინაშე.

უფალო შეგვიწყალე!

**გელა გელაძე**
(სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭო)

## ნათაძის ტრადიციული ბრალდება შევარდნაძისადმი

**ჩემი** განცხადება ამ პრეს-კონფერენციაზე ჩრდილოეთ შიდა ქართლში ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ ორ საკითხს შეეხება.

პირველი. შევარდნაძის გამოსვლაში პარლამენტის სხდომაზე ა.წ. 27 მაისს ნათქვამია, რომ „საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება“ (ლაპარაკია ზ.გამსახურდიას მმართველობის დროზე. ნ.ნ.) „პასუხისმგებელია მომხდართან დაკავშირებით“ შიდა ქართლში, მაგრამ არ არის ნათქვამი, რომ ყველაზე მეტად პასუხისმგებელნი არიან სეპარატისტული ოსური ჯგუფები, რომელთაც ეკუთვნით პირველი მკვლელობები ამ კონფლიქტის მანძილზე. გარდა ამისა, შევარდნაძემ დაუმალა და უმალავს საზოგადოებრიობას, რომ ყველაზე მძიმე შეიარაღებული აქციები ოსური მხარის მიმართ – არტილერიული გასროლის დიდი სერია ქცხინვალის მიმართულებით – მოხდა მხოლოდ შევარდნაძის, როგორც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მმართველობის დროს, ხოლო გამსახურდიას დროს არცერთი საარტილერიო გასროლა ცხინვალის მიმართულებით არ მომხდარა. არ არის ცალსახად ცნობილი, ვის მიერ მოხდა ეს გასროლები – საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ თუ რუსული სპეცდანიშნულების რაზმის, ე.წ. „ღამურების“ მიერ, რომლებიც იმ დროს ფართოდ მონაწილეობდნენ, არაოფიციალურად, საქართველოში მიმდინარე პროცესებში. ამგვარად, შევარდნაძის განცხადება არის ცილისწამება საქართველოს კანონიერი ხელისუფლების და, მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხინვალისთვის საარტილერიო სროლის ფაქტიდან ეუთოსთანა გავლენიანი ორგანიზაციის მიერ კეთდება დასკვნა საქართველოში ოსური „რესპუბლიკის“ შექმნის შესახებ (იხ.მისიის „რეკომენდაციები“), შევარდნაძის ეს განცხადება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც საქართველოს ტერიტორიული დაზარალებისათვის საფუძვლის შექმნაც და, მაშასადამე, როგორც სახელმწიფოს ღალატის აქტი. განვმარტავ – შიდა ქართლში „ოსეთად“ წოდებული ტერიტორიული ერთეულის შექმნა ოსი ხალხის წინაშე სვამს ამ ტერიტორიის – ოსეთთან მიერთების ამოცანას, რაც საქართველოს ტერიტორიის ხელყოფას ნიშნავს.

მეორე. შევარდნაძის იმავე სიტყვაში საქართველოს კანონის წინააღმდეგ გამოსული ჩიბიროვი და სხვა სეპარატისტი თვითმარქვია ლიდერები მოხსენიებულნი არიან როგორც „ხელმძღვანელები“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, სეპარატისტთა მიერ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ გამოცხადების ოფიციალური გაუუქმებლობის ფაქტთან ერთად, რომ შევარდნაძე ხელს უწყობს ამ უკანონო და საქართველოს მთლიანობის ინტერესებთან შეუთავსებელი ტერიტორიული პოლიტიკური ერთეულის შექმნას, თუმცა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის არც ერთი საერთაშორისოდ აღიარებული ნორმა ამას არ მოითხოვს. შევარდნაძის ეს მოქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სხვაგვარ, თუ არა როგორც საქართველოს სახელმწიფოს ღალატი.

დავძენ. ოსური ანტიქართული სეპარატიზმი არა მარტო პროიმპერიული და პრორუსულია, რასაც მოწმობს ოსი ინტელიგენციის 1991 წლის თებერვლის ანტიქართული მიმართვა სსრკ-ს მეცნიერების, ხელოვნების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მოღვაწეებისადმი სიტყვებით: „Ориентация на Союз, в частности на союз с Россией, которому традиционно верен народ Южной Осетии, ставит его в оппозицию к общей политической тенденции в Закавказье“, ეს სეპარატიზმი რასისტულიცაა, რასაც ნათლად მოწმობს ციტირებულის მომდევნო სიტყვები: „...Такова судьба осетинского народа, прожившего в Закавказье многие столетия, по сохранившего свой индоевропейские связи“. ამგვარად, დოკუმენტში, ოსი ერის პოლიტიკური ორიენტაციის განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია არა კულტურული, ეკონომიკური, სტრატეგიული ან სხვა კონკრეტული ინტერესები, არამედ რასა.

ბუნებრივად ჩნდება ვარაუდი, რომ ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელთა პროოსური პოზიცია ეუთოს საქართველოს მისიის შემადგენლობაში განსაზღვრულია ამავე ფაქტორით. კერძოდ, განზრახვით, რომ რასობრივი სიახლოვის მოტივით ამიერკავკასიაში ოსების სახით დასაყრდენი შეიქმნას მომავალი აქტიური პოლიტიკისათვის.

**ნოდარ ნათაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელცინი ამერიკაში მიემგზავრება

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი 20–22 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დენვერში ჩავა, სადაც ამ დროისათვის გაიმართება განვითარებული ქვეყნების დიდი შვიდეულის მეთაურთა შეხვედრა. პრეზიდენტი აპირებს სამიტზე წარსდგეს კონკრეტული წინადადებებით, კერძოდ, შეიქმნას გლობალურ პრობლემებზე მომუშავე ახალი ორგანიზაცია.

## ელჩმა უარყო სამმხრივი შეხვედრა

რუსეთის ფედერაციაში აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ალექსანდრე ბლოხინმა უარყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობა იმის შესახებ, რომ მზადდება აზერბაიჯან–საქართველო–ჩეჩნეთის სამმხრივი შეხვედრა და დაიმოწმა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები. როგორც ალექსანდრე ბლოხინმა თქვა, ჰეიდარ ალიევი საკმაოდ გააკვირვა ცნობებმა იმის შესახებ, თითქოს მიმდინარეობდეს მზადება ამგვარი შეხვედრისათვის

## სპიკერის გადადგომას არ ეთანხმებიან

სომხეთის პარლამენტი არ დაეთანხმა თავისი სპიკერის ბაბკენ არაკციანის გადადგომას. როგორც წინათ ვიუწყებოდით, რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ბაბკენ არაკციანმა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატებმა უარყვეს სამხედრო ვალდებულების თაობაზე კანონის მის მიერ შეთავაზებული პროექტის განხილვა, საფუძვლად მიიღეს მთავრობის კანონპროექტი, რომელსაც სპიკერი კატეგორიულად არ ეთანხმება.

## რუსეთსა და საფრანგეთს პროსომხური პოზიცია უკავიათ

„ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მინსკის ჯგუფში საფრანგეთის მეორე თანათავმჯდომარედ დანიშვნა შექმნის მეტ პრობლემებს სომხეთ–აზერბაიჯანის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში“ – ნათქვამია აზერბაიჯანის დემოკრატიული კონგრესის განცხადებაში.

დემოკრატიული კონგრესი ამას იმით ხსნის, რომ რუსეთსა და საფრანგეთს პროსომხური პოზიცია უკავიათ ამ საქმეში. ამ ორგანიზაციის აზრით, მეორე თანათავმჯდომარე უნდა იყოს ქვეყანა, რომელიც რაც შეიძლება სრულიად წარმოადგენს აზერბაიჯანის ინტერესებს. დემოკრატიულ კონგრესს მიაჩნია, რომ ასეთი ქვეყანა შეიძლება იყოს თურქეთი ან ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან სამეულს ამერიკის შეერთებული შტატები – რუსეთი – თურქეთი შეუძლია მიაღწიოს მაქსიმალურ შედეგს სომხეთ–აზერბაიჯანის კონფლიქტის მოწესრიგებაში. დემოკრატიული კონგრესი, როგორც ცნობილია, აერთიანებს აზერბაიჯანის მთელ რიგ ოპოზიციურ პარტიებს.

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“

# ჩინოვნიკური ინტრიგები

## ფილიპ ბობკოვი

### ა.ნ.შელეპინი

1958 წელს სეროვი სრულიად მოულოდნელად გაათავისუფლეს თანამდებობიდან და დანიშნეს ჯერ საბჭოთა არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსად, ხოლო შემდეგ ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის მეთაურის მოადგილის პოსტზე გადაისროლეს. ჩამოაქვეითეს გენერალ-მაიორის წოდებამდე, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ორი წლით ადრე არმიის გენერლის წოდება მიიღო.

ზოგიერთმა ეს შემდეგნაირად გაიგო: სეროვმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ხრუშჩოვს იგი აღარ სჭირდება. მაგრამ, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ადამიანი, უბრალოდ, სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ ან, ასაკის მიზეზით, პენსიაში უშვებენ. რატომ დააქვეითეს იგი? აქ რაღაც სხვა ამბავი იყო...

და მართლაც, როგორც შემდგომში გამოირკვა, ყოველივე ამის უკან ინტრიგა იმალებოდა, წვრილმანი და ანგარებიანი, რომელიც მოხერხებულად შეაპარა გენერალ-მაიორმა მირონოვმა. ომის დროს იგი ჯარში მსახურობდა, ხოლო შემდეგ მუშაობდა დნეპროპეტროვსკში, ბრეჟნევის დროს.

აბაკუმოვის დაპატიმრების შემდეგ, როდესაც სუკ-ს სათავეში ჩაუდგა იგნატიევი, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში პარტიულ მუშაკთა დიდი ჯგუფი მოვიდა, მათ შორის ხერსონის საოლქო კომიტეტის მდივანი მირონოვი. მას მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება და დაინიშნა სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ. მირონოვმა მალე მიიქცია ყურადღება: იგი დიდ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას, ოცნებობდა გენერლის წოდებაზე. და, ალბათ, უკვე მაშინ, შორეულ მიზნად დაისახა სეროვის კომპრომეტირება და დაიწყო სხვადასხვა მასალების შეგროვება. მოსკოვში მცირე ხნის მუშაობის შემდეგ მირონოვი გადაყვანილი იქნა ლენინგრადში სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. პოსტი საკმაოდ მაღალია და სამუშაოც დამოუკიდებელი. სულ მალე იგი დაინიშნა სკკპ ცკ-ს ადმინისტრაციული განყოფილების გამგედ. ამჯერად, როგორც იტყვიან, მთელი სუკ-ი მის უწყებაში იმყოფებოდა. მირონოვი თავს უშიშროების ორგანოების პროფილაქტიკის მამად თვლიდა. მე თუ მკითხავთ, სწორი გზაა, მაგრამ მირონოვს ეს ყველაფერი კარიერისათვის სჭირდებოდა.

მე ხშირად მიხდებოდა ცენტრალურ აპარატში მუშაობის დროს მასთან შეხვედრა, მისი ლენინგრადში მოღვაწეობის პერიოდში და მოგვიანებითაც, როდესაც იგი ცკ-ში გადავიდა. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, პროფილაქტიკისა და სხვა საქმიან პრობლემებზე ერთად გვემსჯელა. თუმცაღა ყოველთვის ცხადი იყო: ძალაუფლებისაკენ მისი სწრაფვა არასოდეს დამცხრალა, რაც გარკვეულ უნდობლობას ბადებდა მის მიმართ. მირონოვი ადანაშაულებდა სეროვს წარსული წლების რეპრესიებში, რაც სიმართლეს შეეფერებოდა, მაგრამ, ამავე დროს იგრძნობოდა, რომ ყველაფერს თავისი ანგარებიანი მიზნების განსახორციელებლად აკეთებდა.

მახსენდება ამგვარი ეპიზოდი.

მირონოვის ცკ-ს განყოფილების გამგედ ყოფნის პერიოდში, ჩემს მეგობარ ა.ნ.ზუბოვთან ერთად საზეიმო



ყოველივე ამის უკან ინტრიგა იმალებოდა...

საღამოზე გახლდით MXAT-ში. უცბად ჩვენთან მოიჭრა სახეგაბრწყინებული მირონოვი.

მინდა მოგილოცოთ, – მოგვმართა მან, – სეროვი მოხსნეს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან და გააგზავნეს კუიბიშევში.

იმდენად აღავსო სიხარულმა, რომ ველარ დაძლია სურვილი, ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი აღტაცება. მე და ზუბოვმა უხერხულად ვიგრძენით თავი. MXAT-ის საოცარი საღამო უიმედოდ გაგვიფუჭა კარიერისტის უადგილო სიხარულმა: ისევ დატრიალდა საზიზღარი ჩინოვნიკური ინტრიგების სული.

ადრეული სიკვდილი რომ არა (მირონოვი ტრაგიკულად დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს იუგოსლავიაში, 1964 წლის ოქტომბერში), ვფიქრობ, იგი მაღალ თანამდებობას მიაღწევდა, არა მარტო სუკის სისტემაში, არამედ პარტიაშიც – მირონოვი ბრეჟნევის გუნდის წევრი იყო, რომელშიც ძირითადად პარტიული მუშაკები შედიოდნენ, ვინც თავის ლიდერს დნეპროპეტროვსკიდან იცნობდნენ.

სეროვის შემდეგ სუკ-ის თავმჯდომარის ადგილზე ა.ნ.შელეპინი მოვიდა. მე მას ჯერ კიდევ კომკავშირიდან ვიცნობდი. მასთან ურთიერთობა მქონდა სტუდენტთა და ახალგაზრდობის მოსკოვის ფესტივალის დროს, რომლის შტაბსაც იგი ედგა სათავეში.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

*საერთაშორისო ფონდ „დემოკრატიის“ (სერია „რუსეთი – XX ს. დოკუმენტები“) მიერ გამოცემულ სამ მოზრდილ ტომს უახლოეს ხანებში კიდევ ერთი დაემატება – ლავრენტი ბერიას შესახებ ცნობილი და ნაკლებადცნობილი დოკუმენტების კრებული.*

# უცხოეთის დაზვერვის აგენტი ანუ ვისთვის ძაღლი, ვისთვის ქება ლავრენტი ბერიასი

სტალინი მოკვდა. მისი ცხოვრების უკანასკნელ საათებში (სიკვდილი დაფიქსირდა 1953 წლის 5 მარტს 21 სთ. და 51 წუთზე) მიმდინარე თათბირზე, რომელმაც უწოდა თავის თავს „სკკპ ცკ-ს, სსრკ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა“, შედგა ძალაუფლების გადანაწილება. სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდნენ სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი მალენკოვი, ნიკიტა ხრუშჩოვი – სკკპ ცკ-ს მდივანი (1953 წლის სექტემბრიდან – პირველი მდივანი) და ლავრენტი ბერია – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი პირველ მოადგილეთაგანი და ამავე დროს, შინაგან საქმეთა გაერთიანებული სამინისტროს მინისტრი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები.

ბერია, ეჭვგარეშეა, მაშინდელ ხელმძღვანელ პირებს შორის ყველაზე მეტად იყო ინფორმირებული. მის მიერ მიღებული ინფორმაცია მრავალფეროვნებითა და სიზუსტით გამოირჩეოდა. მან სხვებზე უკეთესად იცოდა იმ პრობლემების შესახებ, რაც ომის შემდგომ პერიოდში დაგროვდა და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას ითხოვდა. ქვეყანას არ შეეძლო არმიის შენახვა საომარი დროის მოთხოვნილებების შესაბამისად, ორმილიონნახევრიანი პატიმრების კონტინგენტის ყოლა, „დიად მშენებლობებზე“ ფულის ხარჯვა, „მშრომელი გლეხობისათვის სამმაგი ტყავის გაძრობა“, მოკავშირეების ახალ მტრებად გადაქცევა, როგორც ეს იუგოსლავიის მაგალითზე მოხდა.

რეფორმები გარდაუვალი იყო. კანონზომიერია, რომ მათი ინიციატორი გახდა ბერია, უდიდესი უწყების მმართველი, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰყავდა მძლავრი შემსრულებელი აპარატი, თავისი სამრეწველო-საწარმოებით, სასამართლოებით, სასჯელის მოხდის ადგილებით. იგი აშკარად იზომებდა სახელმწიფოს მეთაურის გვირგვინს. აღსანიშნავია, რომ სტალინის სიკვდილისთანავე ბელადის კაბინეტი კრემლში ბერიამ დაიკავა. მან ეს კაბინეტი მალენკოვს დაუთმო, ორი დღის შემდეგ, 7 მარტს, როდესაც ეს უკანასკნელი საჯაროდ გამოცხადდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

* * *

შსს ახალი მინისტრის პირველი ბრძანების მიხედვით იქმნება საგამოძიებო ჯგუფი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საქმეთა გადახედვის მიზნით: „დაპატიმრებულ ექიმთა საქმე“, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ყოფილ თანამშრომელთა საქმე, სსრკ სამხედრო სამინისტროს მთავარი საარტილერიო სამმართველოს ყოფილ მუშაკთა საქმე, „მეგრელთა საქმე“. 1953 წლის 2 აპრილს სკკპ ცკ-ს პრეზიდიუმს ბერიამ გადასცა ბარათი მსახიობისა და რეჟისორის, სოლომონ მიხოელსის მკვლელობის შესახებ. ამ ბარათში იგი იტყობინება, რომ მიხოელსის პირადი ნაცნობობა გახდა საბაბი იმისათვის, რომ ტერორისტულ და ჯაშუშურ მოღვაწეობაში ბრალი დაედოთ ექიმებისათვის: მირონ ვოვსის, ბორის კოგანის, მოლოტოვის ცოლის, პოლინა ჟემჩუჟინასათვის. ბარათი ირწმუნებოდა, რომ მიხოელსის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება ფალსიფიცირებული იყო. მიხოელსის ჭეშმარიტი მკვლელები იყვნენ: სტალინი, უშიშროების ყოფილი მინისტრი აბაკუმოვი, აბაკუმოვის მოადგილე ოგოლცოვი და ბელორუსიის უშიშროების ყოფილი მინისტრი ცანავა.

1953 წლის 3 აპრილს, მომდევნო დღეს, სკკპ ცკ-ს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა: „მიღებულ იქნას სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული წინადადება, ექიმთა და მათი ოჯახის წევრების განთავისუფლებისა და სრული რეაბილიტაციის შესახებ“, ე.წ. ექიმ-მავნებელთა საქმის გამო ყველა 37 კაცის მიმართ; სსრკ უშიშროების სამინისტროს იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქმეთა ფალსიფიკაციაში და საბჭოთა კანონმდებლობის დამახინჯებაში... გაუქმდეს 1953 წლის 20 იანვრის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ექიმ ლ.ტიმაშუკის ლენინის ორდენის დაჯილდოების შესახებ, როგორც არასწორი, დღეისათვის გამოვლენილ გარემოებათა გათვალისწინებით. სკკპ ცკ-ს პლენუმზე დადგენილების გამოსატანად გადაეცეს სკკპ ცკ-ს პრეზიდიუმის შემდეგი წინადადება: „ამხ. სდ. იგნატიევის მიერ სერიოზული დარღვევების გამო, რასაც ადგილი ჰქონდა მის მუშაობაში, სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პოსტზე, შეუძლებლად ჩაითვალოს მისი დატოვება სკკპ ცკ-ს პოსტზე“.

1953 წლის 26 მაისს ბერიამ მალენკოვს გაუგზავნა შეტყობინება, რომ შსს-მ „ვერ მოძებნა დანაშაულის ნიშნები“ საჰაერო-საავიაციო ძალების მეთაურთა შემადგენლობის ქმედებებში, რომლებიც 1946 წელს იქნენ გასამართლებულნი.

მიღებული იქნა ზომები: „საქართველოს სსრ-ს ტერიტორიიდან უკანონოდ გასახლებული ხალხის მშობლიურ მხარეში დაბრუნების უზრუნველსაყოფად – სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეციალური სხდომის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ბერიას „ბარათების“ საფუძველზე მზადდებოდა წინადადება სსრკ მოქალაქეების, გერმანელების სტატუსის განსაზღვრის შესახებ, რომლებიც სპეცდასახლებებში იყვნენ გადასახლებულნი. ბერიამ შეიტანა წინადადება არსებული სასამართლო სისტემის შეცვლის თაობაზე. 1953 წლის 26 მარტით დათარიღებულ წერილში სკკპ ცკ-ს პრეზიდიუმის მიმართ, იგი ამბობს, რომ ციხეებში, კოლონიებში, შრომა-გასწორებით ბანაკებში 2 მილიონ 526402 ადამიანი იხდის სასჯელს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, მისი აზრით, გასამართლებული შედარებით უმნიშვნელო დანაშაულისათვის, საკმაოდ დიდი სასჯელის მოხდის ვადით. ბერიამ შეიტანა წინადადება, თანამდებობრივი დანაშაულებისათვის გასამართლებულთა ამნისტირების შესახებ, ვისაც 10 წლამდე, არასრულწლოვანი ბავშვები და მძიმედ ავადმყოფი და მოხუცი მშობლები ჰყავდა.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება საცხოვრებლად ან ოფისისთვის 3 სართულიანი სახლი წინამძღვრიშვილის 44-ში. ტელ. 95-30-47

იყიდება ან იცვლება ვაკეში თამარაშვილის ქ№11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000$ ტელ. 23-26-83

იყიდება ვერაზე 2 სართულიან სახლში ბინა მე-2 სართულზე. 2 ოთახიანი, დიდი შუშაბანდით და სათავსოებით. მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 30000 ლარი. ტელ. 98-45-46

იყიდება ოროთახიანი პრივატიზებული ბინა აბანოთუბანში იტალიური ეზოს პირველ სართულზე, კარგი პირობებით, ტუალეტი, სამზარეულო საკუთარია. მისამართი გორგასლის 11, ბალნეოლოგიური კურორტის გვერდით. ტელ. 72-47-48 იკითხეთ ზურა ან ვალია

იყიდება (მე-2 სართული) ერთოთახიანი იზოლირებული პრივატიზებული ბინა 16 კვ.მ. ფართით, ვაჟა-ფშაველაზე, კომაროვის სკოლის ახლოს, I კვარტალი, არის მისაშენებელი ფართის საშუალება. ტელეფონით, მუდმივი გოგირდის წყლით, საწყისი ფასი 8000$ ტელ. 67-64-67 იკითხეთ ბაჩო ან თემური

იყიდება 5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა უმაღლესი დონის რემონტით. საბურთალოს ცენტრში საერთო ფართი 140 კვ.მ. კაპიტალური სარდაფით და ავტოფარეხით, ფასი 80000$ ტელ. 38-01-11

იყიდება 2 ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა (18+26) ქალაქის ცენტრში სამსართულიანი სახლის მესამე სართულზე. ბინა იტალიური ტიპისაა. აქვს სარდაფი, ტელეფონი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი 27000$ ტელ. 99-73-68

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა საბურთალოს ცენტრში, საუკეთესო რემონტით. საერთო ფართი 90 კვ.მ, ფასი 30000$ ტელ. 38-01-11

იყიდება 4 ოთახიანი ბინა მთაწმინდაზე, ნახევრად გარემონტებული, 3 სართულიანის მე-3 სართულზე. იტალიურ ეზოში. ტელეფონით. საწყისი ფასი 20000 დოლარი. ტელ. 64-38-31; 63-00-78

იყიდება 3 ოთახიანი ფინური სახლი (ასაწყობი), ფასი 3000 დოლარი. ტელ. 95-30-47

იყიდება სააგარაკე მიწის ნაკვეთი, ავჭალაში. პლასტმასის ქარხნის ნაკვეთების ტერიტორიაზე, 2 სართულიანი სახლით. ბეტონით ავტოფარეხით. არის ყველანაირი ხეხილი. ფასი 18000 დოლარი. ტელ. 62-24-26 21 საათის შემდეგ

## სხვადასხვა

იყიდება „გაზ-24-10“-ის ახალი ძრავი კომპლექტში, გაძლიერებული. ფასი 1200 დოლარი. ტელ. 37-61-63

იყიდება 900 ლიტრიანი ცისტერნა-თერმოსი „კვასი“ მისაბმელზე. უხმარი. მისაბმელს აქვს ახალი საბურავები. ფასი 1000 ლარი. ტელ. 37-61-63

მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს სახლში მისვლით, ან გავაკეთებ ყველა ოჯახურ საქმეს (სახლში მისვლით). გთხოვთ დამიკავშირდეთ 98-54-16 ზინა

## ქირავდება

ქირავდება გარაჟი საბურთალოს ბაზართან. აქვს ორმო. ფასი 120 ლარი. ტელ. 37-61-63

ქირავდება ავტოფარეხი საბურთალოს ცენტრში. ტელ. 38-01-11 ფასი 50 დოლარი თვეში

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ავეჯით, ტელეფონით ორთაჭალაში. დენი და წყალი მუდმივად არის. ფასი 150 დოლარი. ტელ. 34-73-95 რუსიკო

ქირავდება 2 ოთახიანი, იზოლირებული ბინა, ავეჯით, დიღმის მასივის ხიდთან. არის ბუნებრივი გაზი, ფასი 200 ლარი. ტელ. 34-41-62; 93-55-96 ვანო

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ვერაზე ავეჯით და ტელეფონით. ფასი 200$ თვეში. ტელ. 38-01-11

ქირავდება სამოთახიანი ბინის ერთი ოთახი გოგონასათვის. ფასი 60 დოლარი. ტელ. 93-11-81 მარინა

ქირავდება ვაკეში კერძო ბინის ეზოში ერთოთახიანი ბინა. ფასი 70 ლარი. ტელ. 29-09-37

## ვასწავლი

შევასწავლი ხელით ქარგვას შეღავათიან ფასებში (მაქვს კარგი სქემები). შესაძლებელია სახლი მისვლაც. ტელ. 96-57-46

ვასწავლი ჭრა-კერვას მოდელირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. სწავლების ვადა ოთხი თვე. ტელ. 98-34-65

## მოვუვლი

მოვუვლი და აღვზრდი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. ტელ. 73-02-74 ანოლი

მოვუვლი ბავშვს, ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. მაქვს მუშაობის საკმაო გამოცდილება. სანიტარული წესების სრული გარანტიით. გულთბილი ატმოსფერო და სიყვარული ნებისმიერი ასაკის ბავშვს არ მოაკლდება. ტელ. 29-16-33 ქალბატონი გულიკო.

ვაკეთებ სამედიცინო მასაჟებს, მოვუვლი ავადმყოფს და დავეხმარები კარგადმყოფთ საოჯახო საქმეებში, მოვამზადებ ბიოლოგიაში. ტელ. 73-35-26 ფატიმა

### ქეთი ქაჯაიას!

ძვირფასო ქეთუშ, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ წარმატებებს. გვიმძიმს შენი ლენინგრადში გადასვლა, ეცადე, ჩვენთან დარჩე.

შენი განუყრელი დაქალები: ალექსანდრე (პანჩო), ხატია (კვიკი)


### კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60

ფაქსი: 29-49-61

### ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41


## რა როდის რომელ არხზე

### შაბათი. 17 ივნისი

**1** 7.30 ალიონი 9.00 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა) 18.00 მოამბე მესაკუთრე ინტერმეცო XI რეტროსპექტივა 20.00 მოამბე ბასტი-ბუბუს მულტიპულტი პროფილი 21.15 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა) 22.05 ვესტნიკი ვიდეოპატრული 02 ასპარეზი კამერა-ტონი ეის სტუდია გთავაზობთ დასასრულს - ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი 19.20 მულტფილმები 19.45 გრაცია - აერობიკა 21.10 დარბაზი 21.30 ობიექტივი -25 21.55 პოდიუმი 22.00 ინფორმაცია მეორე არხი და რეკლამა 22.25 მხატვრული ფილმი „ნოტრდამის კუზიანი“.

**კავკასია** 11.00 ტანვარჯიში „შეიპინგი“ 11.45 მულტფილმები 12.15 დოკუმენტური ფილმი „ველური ბუნება“ 13.00 ტელეკომპანია „მირ“ 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „მარსი“ 15.00 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“ 15.30 მუსიკალური პროგრამა 17.45 საინფორმაციო გამოშვება 18.00 მულტფილმები.

**ОРТ** 7.00 დილა მშვიდობისა 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 1.15 ნოვოსტი 10.15 გოგონა, სახელად ბედი“ 11.40 სმეხოპანორამა 12.20 საოჯახო ბიბლიოთეკა 12.30 გამოიცან მელოდია 13.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ორი კაპიტანი“ 14.25 რა? სად? როდის? 15.55, 22.40, 1.35 გადაცემათა პროგრამა 16.20 მულტსერიალი 16.45 კვარიეტე „მხიარული კამპანია“ 16.55 მულტიტროლია 17.15 ჯადოსნური სამყარო, ანუ სინემა 17.40 „თოვლის კაცი - გარი“ 18.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა 18.35 სამყაროს გარშემო 19.20 „გოგონა, სახელად ბედი“ 20.05 ამინდი 20.10 პიკის საათი 20.35 გამოიცან მელოდია 21.00 თემა 21.45 ძილი ნებისა, პატარებო! 22.00 ვრემია 22.45 მხატვრული ფილმი „სატურნის“ აღსასრული“ 0.30 მელოდიები „პესნია-96-“ის ფინალური პროგრამიდან 1.25 პრეს-ექსპრესი 1.40 მხატვრული ფილმი „ჩემპიონები“.

**РТР** 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00 ვესტი 8.15, 9.15 დილა მშვიდობისა 10.00 საეკლესიო კალენდარი 10.05 ტელესერიალი „ხენდრო“ 10.30 მღერიან დრამატული მსახიობები 10.00 „სანტა-ბარბარა“ 11.45 რეტრო-შლაგერი 12.15 პულსი 12.40 გრაფომანი 15.20 ცხოველთა სამყაროში 15.50 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები 16.30 კულტურის ბაღი 17.00 რეპორტაჟი არაფერზე 17.10 წითელი წიგნი 17.25 ტელესერიალი „ხენდრო“ 18.15 ტამ-ტამ ნოვოსტი 18.25 ლუკომორიე 18.50 შეხედე საკუთარ თავს 19.05 რუსები 19.20 ახალი მეხუთე ბორბალი 20.00 „სანტა-ბარბარა“ 21.35 საღამო მშვიდობისა 22.20 მხატვრული ფილმი „პეტროვკა, 38“ 0.30 გადაცემათა პროგრამა 0.40 ჭეშმარიტების მომენტი 1.10 ხმოვანი ბილიკი 2.10 ღამის პროგრამა 2.25 პროდუქცია - ფოსტით.

**НТВ** 7.00, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 1700 სევოდნია 7.15, 8.15, 10.15 სპორტი 7.25, 9.45 კრიმინალი 7.35, 8.35 კარდანის ლილვი 7.40 გრადუსნიკი 7.45, 10.20 ისტორიული დღე 7.50 ზღვარს მიღმა 8.20 შოუ-ბიზნესის ახალი ამბები 8.40, 10.45 მე - პირადი მცველი 8.50 გაზეთების მიმოხილვა 9.10, 10.25 ხარის საათი 9.20 გამოსადეგი 9.35 ფინანსები და ბიზნესი 9.50 ციცხალი გონებით 10.35 რეტრო-ნოვოსტი 10.50 კინოსიახლენი 11.15 დილა 11.30 მხატვრული ფილმი „ხელგაშლილი ცხოვრება“ 13.20 გამოსადეგი 13.50 კომპიუტერი 14.00 ლია სამყარო 14.45, 2.00 ტელემაღაზია 15.20 დიდი ვრემეჩკო 16.05 „ლავჯოი“ 17.20 ფინანსები და ბიზნესი 17.35 დისტანცია-60 18.35 „ცისფერი ხე“ 19.30 საბავშვო პროგრამა 20.4- დღის გმირი 21.05 მხატვრული ფილმი „კონდორის“ კვალდაკვალ“ 23.45 „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად“ 0.40 ვრემეჩკო 1.20 ღამის ვერმეჩკო 2.10 მელომანია.

**TV6** 8.00, 10.00, 15.50, 20.55, 20.00, 0.45 ექვსი ახალი ამბავი 8.10, 18.35, 1.15, 2.20 დისკ-არხი 8.40 მულტსერიალი 9.10, 19.20, 1.00 საგზაო პატრული 9.20 ცეპტერის რეცეპტები 9.30 90x60x90 9.45 12.10, 19.10 აფთიაქი 10.10 ტელეკონკრეტულად 10.30 თითებს ჩაიკვნეტ! 11.05 ეულთა კლუბი 11.40 თქვენ თვიმხილველი ხართ 12.20, 14.20, 17.45, 18.35 ტელემაღაზია 13.00 „კემპბელის ოჯახი“ 14.00, 2.00 ხარისხის ნიშანი 14.50 დოკუმენტური სერიალი „დიდი სამამულო“ 16.00 მხატვრული ფილმი „შემოსევა“ 18.05 „გაბზარული გელუბის სკოლა“ 19.30 კერძო შემთხვევა 19.50 „კემბელების ოჯახი“ 21.05 ტოკ-შოუ 22.15 „დინასტია-2“ 23.15 ისინი, ვინც... 23.45 „სარაცინი“


ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

### ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

## ედეპეს სტუდენტები კი არა, პოლიცია გამოასახლებს – ამბობს გ. დოლიძე

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადება იმის თაობაზე, რომ 17 ივნისს თეატრალური ინსტიტუტის წარმომადგენლები სტუდენტების დახმარებით აპირებენ ძალისმიერი მეთოდებით გააძევონ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საკუთარი შტაბ-ბინიდან, სინამდვილეს არ შეესაბამება – განაცხადა დღეს „მოამბე-ექსპრესის“ კორესპოდენტთან საუბარში თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორმა გოგი დოლიძემ. მისივე თქმით, თეატრალური ინსტიტუტი არანაირ მონაწილეობას არ მიიღებს ოფიციალური გამოსახლების პროცესში – ეს სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა. როგორც გ. დოლიძემ აღნიშნა, მთაწმინდის რაიონის სასამართლომ, რომელმაც ედეპეს გამოსახლების დადგენილება გამოიტანა, თხოვნით მიმართა ამავე რაიონის პოლიციას, რაიმე ინცინდენტის თავიდან აცილების მიზნით დახმაროს პოლიციის გაძლიერებული ჯგუფი. (მექსპრესი)

## აი ასეთი გვწამს სტალინელი...

ბოლო დროს გახშირდა რუსეთის მიმართ ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი სტატიების გამოქვეყნება, რასაც არცთუ ისე კარგი სუნი უდის – განაცხადა გუშინ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ და საქართველოს შრომის პარტიის თავმჯდომარემ გრიგოლ ონიანმა. განცხადებაში ნათქვამია, რომ „პროვოკატორები ზიზღს და შურს თესავენ ორი ისტორიულად დაკავშირებული ერის სამუდამოდ დასაშორებლად“.

მისივე თქმით, „საუკუნეების განმავლობაში ნაჭედი ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობა ურღვევი და სამუდამოა“ (მექსპრესი)

# აღიარება

*საზოგადოება „რერიხის“ თავმჯდომარემ ბ-ნ თამაზ თავაძემ შექმნა და გამოაქვეყნა „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის“ პროექტი. ბატონ თამაზს „საქართველოს“ მკითხველი იცნობს, როგორც არაჩვეულებრივ მკურნალს. სასიამოვნოა, რომ მისმა შრომამ არასამედიცინო დარგშიც დიდი აღიარება ჰპოვა. გთავაზობთ გამოხმაურებას გაეროდან.*

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზ.ჟვანიას

ასლი: საქართველის პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ რ.მიმინოშვილს

პატივცემულო ბატონო ზურაბ, პატივცემულო ბატონო რომან!

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ დავუბრუნდე 1996-წ. 23-28 ოქტომბერს ქ.თბილისში იუნესკოს ეგიდით ჩატარებული კონფერენციის – „სკოლის მასწავლებელთა მომზადება საზოგადოების მრავალეროვნულობის პირობებში“, – მუშაობის შედეგებს. ამ კონფერენციაზე, რომელიც ორბელიანის სახ.თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში მისივე რექტორის ბ-ნ ვ.სართანიას აქტიური ხელშეწყობით ჩატარდა, განხილულ იქნა და მოწონება დაიმსახურა „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციამ“, რომელიც საქართველოს ნ.კ.რერიხის საზოგადოების თავმჯდომარემ თ.თავაძემ მოამზადა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად იუნესკო განიხილავს მომავალი თაობების დაცვის დეკლარაციის პროექტს, მე როგორც იუნესკოს პროექტის „მშვიდობისა და ტოლერანტობისათვის, კულტურათა დიალოგისათვის“ კოორდინატორს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია კიდევ ერთხელ აღვნიშნო საქართველოში მომზადებული „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის“ პროექტის მნიშვნელობა და აქტუალობა.

გავკადნიერდები, რათა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება მოცემული პროექტის ტექსტთან დაკავშირებით, მაქვს რა მხედველობაში, რომ ეს უაღრესად პირადი მოსაზრებანია.

1. თვით ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის იდეა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან უფლებების გარდა არსებობენ ადამიანის მოვალეობანი. მაგრამ არის ასევე ადამიანის ვალი, რაც ახალ ცნობიერებასა და ახალ შინაარსს იძენს ერთიან ურთიერთდამოკიდებული სამყაროს პირობებში, რაც თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს უპირისპირდება. ამ თვალსაზრისით ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია ამახვილებს ადამიანთა ყურადღებას მორალური და ზნეობრივი სრულყოფილების აუცილებლობაზე, ასევე ყოველი ადამიანის პირად პასუხისმგებლობაზე არა მარტო საკუთარი თავისა და მოყვასის მიმართ, არამედ სხვა ადამიანთა მიმართაც, რომლებთან ურთიერთობებზეა დამოკიდებული დედამიწის ზნეობრივი კლიმატი.

2. რაც შეეხება თვით დეკლარაციის (მისი პროექტის) შინაარსს, მის მიმართ შესაძლებელია მრავალი მიდგომა იმ დებულებათა პრიორიტეტების თვალსაზრისით, რაც მათ ფორმულირებებშია დაფიქსირებული. რა თქმა უნდა, უმთავრესია უკვე დაფიქსირებული დებულებანი პროექტისა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია სხვა, არა ნაკლებად მნიშვნელოვანთა შემოტანა.

3. კერძოდ, მინდა აღვნიშნო დეკლარაციის პროექტში მოხსენიებული, – „მშვიდობის კულტურა, რომელმაც უნდა შეცვალოს ომის კულტურა“, – დებულების დიდი მნიშვნელობა. მოცემული დებულება სავსებით ლოგიკურად თავსდება მეშვიდე მუხლში, სადაც ნათქვამია: „ყოველი ადამიანი მოვალეა იბრძოლოს პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის“. ეს მტკიცება სამართლიანია, მაგრამ იგი საკმარისად ზოგადია და პრობლემის შუაგულს არ მიანიშნებს. კაცობრიობის ყველა გლობალური პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ერთი პირობის შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ადამიანები გაიცნობიერებენ, რომ ჩვენი ცივილიზაციის მთელი წინაგანვითარება („Homo sapiens“) 40 ათას წელზე მეტი მიმდინარეობდა ომის კულტურის დომინანტით, ანუ ადამიანთა მოსპობის იარაღის მუდმივი სრულყოფით პირველად მეორე ათასწლეულის ახალი ერას მიჯნაზე გამოჩნდნენ ომის კულტურიდან მშვიდობის კულტურაზე გადასვლის ობიექტური პირობანი. ამაზე მეტყველებენ იუნესკოს გენერალური დირექტორის განცხადებანი „ადამიანის მშვიდობის უფლება“ და „მომავალი თაობების დაცვის დეკლარაციის“ პროექტი, რომლებსაც გიგზავნით თქვენ.

ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის პოსტამბულაში ნათქვამია: „წარმოდგენილი პროექტი ღია დოკუმენტია... უსასრულოდ სრულყოფისათვის“.

ძალზე მნიშვნელოვანია მივიღოთ აღნიშნული დეკლარაცია, როგორც საფუძველი, რათა სხვა ანალოგიური დოკუმენტების გათვალისწინებით ჩატარდეს მისი სრულყოფა.

გულწრფელი პატივისცემით

**ვ.ლომეიკო**

პარიზი. 3 ივნისი, 1997 წ.

## გრძელდება ელ.ენერგიის გამორთვები. ჩართული იყო, რო...

უწყებათაშორისო საგანგებო, ენერგეტიკული კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, მოხმარებული ელ.ენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, ელ.ენერგიის მიწოდება შეუწყდა: ბორჯომის პანსიონატს „კეჩხობი“ – დავალიანება – 2363 ლარი, ბორჯომის რესტორანს „ხეობა“ 989 ლარი, ლანჩხუთის აგროსამრეწველო კომბინატს „ნიგვზიანი“ – 2020 ლარი, ლანჩხუთის კოოპერატივს – გურია“ – 4135 ლარი, თელავის კოოპერატივს „გულგულა“ – 611 ლარი, თელავის რეპროდუქტორს – 3500 ლარი; გარდაბნის ავტოპროფილაქტორიას – 3000 ლარი, გარდაბნის პურკომბინატს – 7600 ლარი, გურჯაანის მრავალდარგოვან ფირმას „მიგი“ – 2922 ლარი.

## დედამ მამას ფულის გამოძალვის მიზნით შვილი მოსტაცა

თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს მიმართა ალექსი აფციაურმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს მისი 18 წლის ვაჟი გიორგი აფციაური და გამოსასყიდად 90 ათას $ ითხოვენ. ამის შესახებ სააგენტო „იფრინდა“-ს კორესპონდენტს შსს-ს პრეს-ცენტრიდან აცნობეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე, გ.აფციაური მისმა დედამ, თამარ ცილიკაშვილმა „გაიტაცა“, ქმრისთვის რომ გარანტირებულად წაერთმია ფული...

# კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 5. მთები აზიაში; 6. მათემატიკის ნაწილი; 8. ცნობილი კლოუნი; 11. ვალის წინდი; 14. დ.თორაძის ბალეტი; 15. ნახშირწყალბადი, რომელიც პოლიმერიზაციას ძალიან ადვილად განიცდის და წარმოქმნის მაგარ მინისებრ მასას; 16. ავტომატური მანქანა, რომელიც სავსებით ან ნაწილობრივ ცვლის ადამიანს; 17. მდინარე საქართველოში; 20. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 22. საკონდიტრო ნაწარმი; 23. სიყვარულის ღმერთქალ ვენერას ვაჟი რომაულ მითოლოგიაში; 26. ბილიარდის წითელი ბურთი; 27. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 28. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა.

ვერტიკალურად: 1. სახელმწიფო აფრიკაში; 2. საგრილებელი; 3. პერსონაჟი ფილმისა „არაჩვეულებრივი გამოფენა“; 4. კოლექტივი, რომელიც ასრულებს გარკვეულ საწარმოო დავალებას; 7. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 9. ნახშირმჟავა მარილი; 10. მძიმე მოწამლვა ძეხვეულით, თევზით ან კონსერვით; 12. ელექტრული მანქანის უძრავი ნაწილი; 13. ისლანდიის პარლამენტი; 18. სუფთაფურცლებიანი წიგნი ან რვეული ლექსების ჩასაწერად, სურათების ჩასახატავად, ფოტოსურათების ჩასაკრავად და სხვა; 19. დარიგება, ჭკუის სწავლება; 21. სისხლძარღვი, რომელიც გულიდან სისხლს აწვდის სხეულის ყველა ორგანოს; 24. ზრდადაუსრულებელი ქათამი; 25. ქსოვილზე სპეციალური მანქანით ან უთოთი გამოყვანილი წვრილი, ერთმანეთზე მილაგებული ნაკეთები.

**თამუნა მაჭავარიანი**

## წინა ნომრის კაიფვორდის პასუხები

მწოლიარედ: 4. ბადრიჯანი; 8. პონი; 10. ორაგული; 11. ილუზიონისტი; 12. აეროპლანი; 14. ალიონი; 15. აბრა; 17. ტოკიო; 18. ღორი; 19. ღობე; 20. ერბო; 22. რქა; 24. ყბა; 26. აბრამი; 28. რაია; 30. ალადინი; 33. სრული; 34. იზა; 35. ფარგალი; 36. ტრიფონი.

მდგომიარედ: 1. ტორერო; 2. იაპონია; 3. ილიადა; 5. დულსინეა; 6. იაზონი; 7. ნანიკო; 8. პიტნა; 9. იახტა; 13. იადონი; 16. ბურატინო; 17. ტარზანი; 18. ღამურა; 21. ოსკარი; 23. ალაფი; 25. არიფი; 27. ალიზი; 29. აბგა; 31. ინა; 32. ბლუ.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444